პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 36 (19478) ◆ ოთხშაბათი, 12 თებერვალი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი გაზეთების „ვოზდუშნი ტრანსპორტისა“ და „ვოდნი ტრანსპორტის“ რედაქციების მიმართ უხეში ადმინისტრირებისა და კრიტიკის ჩახშობის ფაქტების შესახებ.

მოლეკულ დადგენილებაში ნათქვამია, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის შემდეგ გაზეთებმა „ვოზდუშნი ტრანსპორტმა“ და „ვოდნი ტრანსპორტმა“ თავიანთ ფურცლებზე აღძრეს მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი სახალხო-სამეურნეო და სოციალური პრობლემები. გაზეთმა „ვოზდუშნი ტრანსპორტმა“ გააანალიზა კაპიტალური მშენებლობის საქმეთა მდგომარეობა, გამოაქვეყნა შინაარსიანი მასალები, რომლებიც ეხებოდა ტვირთნდვისა და მგზავრთა გადაყვანის ეფექტიანობის გაძლიერებას, დარგში უმკაცრესი ეკონომიისა და მომჯირნეობის დაცვას. გაზეთმა „ვოდნი ტრანსპორტმა“ გააჩაღა ბრძოლა დისციპლინისა და წესრიგის განსამტკიცებლად, საწარმო საქმეებში, მშრომელთა აღზრდაში პროფკავშირულ ორგანიზაციათა აქტიურობისა და მეგზურობის გაუძლიერებლად მეცნიერულ-ტექნიკური პროგრამების მიღწევათა გამოყენების უზრუნველსაყოფად.

დარგების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აქტუალურ საკითხთა გაშუქებისადმი მომთხოვნმა და პრინციპულმა მიდგომამ, ნაკლოვანებების დაშვებულ კონკრეტულ პირთა არგუმენტირებულმა კრიტიკამ, მიუხედავად მათი თანამდებობისა, გაზარდა გამოცემების საზოგადოებრივი ავტორიტეტი, გამოიწვია მკითხველთა დაინტერესებული გამოხმაურება.

იმის მაგვარად, რომ მხარი დაეჭიროთ გაზეთების დასაბუთებული კრიტიკული გამოსვლებისათვის, საბოჭალაქო ავიაციის სამინისტროს, საზღვაო ფლოტის სამინისტროს, რუსეთის ფედერაციის სამდინარო ფლოტის სამინისტროს ხელმძღვანელებმა და საზღვაო და სამდინარო ფლოტის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის მხრივ უხეში ადმინისტრირებისა და კრიტიკის ჩახშობის ფაქტებს მიიჩნევს მიზნეფებად დაიცვან თავიანთი დარგები ნაკლოანი მუშობისათვის სამართლიანი კრიტიკისაგან, დაუჭვემდებარონ გაზეთების საქმიანობა ვიწროუწყებრივ, კუთხურ ინტერესებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ სამინისტროებისა და პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის ამგვარი პოზიცია არ შეეხაბამება სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის „ურსს, რომელიც მიზნად გვისახავს დავამკვიდროთ საზოგადოებაში მომწიფებული პრობლემების ღია და ალალმართალი განხილვა, გავაძლიეროთ მომთხოვნელობა, ყველგან დავამყაროთ წესრიგი, გავაძლიეროთ პრესის, რადიოსა და ტელევიზიის ქმედითობა, გავაჩაღოთ უკომპრომისო ბრძოლა კრიტიკის ჩახშობის თუ უგულებელყოფის ყოველგვარი ცდების წინააღმდეგ.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა მკაცრად მიუთითოს საბოჭალაქო ავიაციის მინისტრს, კომუნისტ ბ. პ. ბუგაევს „ვოზდუშნი ტრანსპორტის“ პუბლიკაციებთან დაკავშირებით გაზეთის რედაქციის მიმართ დაშვებული ადმინისტრირებისა და კრიტიკის ჩახშობისათვის.

საბოჭალაქო ავიაციის სამინისტროს, საზღვაო ფლოტის სამინისტროსა და რუსეთის ფედერაციის სამდინარო ფლოტის სამინისტროს პარტკომებს დაეკალთ პარტიის ხაზით აგებინონ პასუხი იმ პირთ, რომლებსაც ბრალი მიუძღვით დევნაში გაზეთების „ვოზდუშნი ტრანსპორტისა“ და „ვოდნი ტრანსპორტის“ კრიტიკული გამოსვლებისათვის. საკავშირო პროფსაბჭოს სამდივნოს წინადადება მიეცა განიხილოს საკითხი საზღვაო და სამდინარო ფლოტის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის „ი მუშაკთა პასუხისმგებლობის შესახებ, რომლებმაც დაუშვეს უხეში ადმინისტრირება და კრიტიკის ჩახშობა გაზეთ „ვოდნი ტრანსპორტის“ რედაქციის მიმართ, აგრეთვე მიიღონ საკერო ზომები პროფკავშირული პრესის ქმედითობის გასაძლიერებლად.

აღნიშნული სამინისტროების პარტიულმა კომიტეტებმა, საბოჭალაქო ავიაციის სამინისტროს პოლიტსამმართველომ განახორციელონ გადამყვანები ღონისძიებანი სამინისტროებისა და მათი საქვეუწყებო ორგანიზაციების კოლექტივებში კრიტიკისა და თვითკრიტიკის დონის ასამაღლებლად, უმკაცრესად მოკითხონ კომუნისტებს სკკპ წესდების მოთხოვნების, კერძოდ, კრიტიკისა და თვითკრიტიკის როგორც საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების სრულყოფის ნაცად მეთოდის განვითარების მოთხოვნის შესრულებისათვის.

შაგათოგა გვიხმოგს

● ტყიბული. ქალაქის მშრომელებმა გადაწყვიტეს დამკვრელური შრომით აღნიშნონ სკკპ XXVII ყრილობისადმი მიძღვნილი კომუნისტური შაბათობა, რომელიც მიმდინარე წლის 15 თებერვალს მოეწყობა.

ამ დღეს სამუშაოზე გამოვა ქალაქისა და მისი ზონის 15500 მშრომელი, რომელთაგან წარმოებაში დასაქმდება 8250 კაცი.

გამოშვებული იქნება 224 ათასი მანეთის სამრეწველო პროდუქცია, რესპუბლიკის ფაბრიკა-ქარხნებს გაეგზავნება 3800 ტონა ქვანახშირი და 900 ტონა საკოქსე კონცენტრატი, დამზადდება 500 ცალი საჩარხო ტრანსფორმატორი, 100 კვადრატული მეტრი გრანიტის გაპრიალებული სამშენებლო ქვა.

სოფლის მეურნეობის მშრომელები მაღალ აგროტექნიკურ დონეზე ჩაატარებენ მინდვრის საზამთრო სამუშაოებს, ჩაის პლანტაციებში და ყანებში გაიტანენ ორგანულ და მინერალურ სასუქებს, კეთილმოეწყობა გზები და ქუჩები.

ხუთწლედის ფონდში გადაირიცხება შრომის ზეიმის დღეს გამომუშავებული 25 ათასი მანეთი.

(საკ. კორ.).

● ჯასპი. მირიანის მეფრინველეობის ფაბრიკაში ფართოდ ემზადებიან კომუნისტური შაბათობის შესახვედრად. შაბათობაში მონაწილეობას მიიღებს 300 კაცი. ამ დღეს დამზადებული სამი ტონა ფრინველის ხორცი და 20 ათასი კვერცხი დედაქალაქის სასურსათო მაღაზიებს გაეგზავნება.

შაბათობის დღეს 350 ათას ფრთა ფრინველს დაზოგილი კომბინირებული საკვებით გამოკვებავენ; კეთილმოეწყობა ფაბრიკის ტერიტორია, შეგროვდება ჯართი.

(საკ. კორ.).

ტრანსპორტზე დიდი მნიშვნელობა აქვს არა ერთეულად მუშაობის პროცენტულ მაჩვენებლებს, რასდენადაც სახალხო მეურნეობის, მგზავრების შეუფერხებელ, ხარისხოვან მოსმსახურებას, რომელიც დღეხდღეობით აშკარად ვერ აკმაყოფილებს დროის მოთხოვნებს, — აღინიშნა საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობაზე. როგორ ასრულებენ ავტოტრანსპორტელები ყრილობის და მოთხოვნებს, როგორ იღვწიან „მილიონიანი“ რეზერვების ავტოსატრანსპორტო საწარმოებში, გარეკანდელ მარეკლავებზე, გაუმჯობესდეს მუშაობა შრომაზე და ეკონომიკურ პრობლემები. გაძლიერდეს დარგში ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლა. ეს და ბევრი სხვა საკითხი განიხილეს რესპუბლიკის ავტოტრანსპორტელთა აქტივის სამუშაო თათბირზე.

თათბირზე გამოვიდა და მის მონაწილეებს ესაუბრა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი.

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს, რესპუბლიკური, საქალაქო, რაიონული სატრანსპორტო გაერთიანებებისა და საწარმოების ხელმძღვანელები, ავტომანქანების მძღოლები, მექანიკოსები, შემკეთებელი პერსონალი, სხვა სამსახურების მუშაკები გულახდილ, საქმიან ვითარებაში დაუფარავად ლაპარაკობდნენ მტკივნეულ საკითხებზე, ავლენდნენ ნეგატიური მოვლენების წარმომშობ მიზეზებს, სახავდნენ მათი უსწრაფესი ძირეული აღმოფხვრის გზებს.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ სატრანსპორტო სისტემის მუშაობის ეფექტიანობის გაძლიერება ერთ-ერთი ფუძემდებელი ფაქტორია, რომელიც უზრუნველყოფს მთელი სახალხო მეურნეობის შემდგომ აღმავლობას, მეთორმეტე ხუთწლედში ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას.

საავტომობილო ტრანსპორტის განვითარებას დიდძალი კაპიტალური დაბანდებანი ხმარდება. მიმდინარეობს დარგის აღჭურვა სულ უფრო მძლავრი და მალი ტექნიკით, მოძრავი მოწყობილობით, ძლიერდება მისწრაფება უზრუნველყონ მუშაობის ეკონომიკური ეფექტიანობა, შემაცირონ ფუჭი გარბენები, დროულად ჩაიტანონ ტვირთი და ჩაიყვანონ მგზავრები დანიშნულების პუნქტ შიგ. ერთი შეხედვით, პარადოქსად გვეჩვენება, მაგრამ ასეა: არ კლებულობს საჩივრები ტრანსპორტის ცუდი მუშაობის, მგზავრთა მომსახურების მდარე ხარისხის გამო. უწინარესად, ეს იმით აიხსნება, რომ ტრანსპორტის ყველა მუშაკი როდი ეკიდება კეთილსინდისიერად თავის მოვალეობებს, ვერა და ვერ აღიკვეთა ისეთი სამარცხვინო ფაქტები, როდესაც ავტოსატრანსპორტო გაერთიანებათა ზოგიერთი ხელმძღვანელიც კი იღებს ქრთამს, უშვებს წამატებებს, გამოძალავს. მაგალითად, ამ ცოტა ხნის წინათ გამოძალვასა და ქრთამის აღებაში ამხილეს და დააპატიმრეს გაერთიანება „ტრანსავტორობის“ ყოფილი გენერალური დირექტორი ი. ბაკაშვილი და № 8 ავტოკოლონის უფროსი ნ. ჭავჭავაძე. მათი დაპატიმრება და ამ პირთა საქმეების საგამოძიებო ორგანოებისათვის გადაცემა ლაფში სვრის ავტოტრანსპორტელთა მთელ მრავალათასიან კოლექტივს, რომელთა უმრავლესობა თავისი ალალი, თავდადებული შრომით, საუცხოო საწარმოო მაჩვენებლებით ყოველგვარი პატივისცემის ღირსია.

გამოძალვა, ქრთამი, ურთიერთთავდებობა, ხელმძღვანელ-ხელქვეითთა არაჯანსაღი ურთიერთობა ჯერ კიდევ ნელა აღმოიფხვრება ტრანსპორტელთა მუშაობის პრაქტიკიდან; მათი წარმოშობის მიზეზები არ არის ზედმიწევნით შესწავლილი, დამრღვევები ძალზე ხშირად დიდი ხნის განმავლობაში დაუსჯელნი რჩებიან.

ავტოტრანსპორტზე ფეხმოკიდებულ ყველაზე დამახასიათებელ ნეგატიურ მოვლენებს, თქვეს სამუშაო თათბირის მონაწილეებმა, კვლავინდებურად განიკუთვნება დარგის მუშაკთა გარკვეული ნაწილის მისწრაფება იცხოვროს უშრომელი შემოსავლით, ანაცვალოს სახელმწიფოს ინტერესები თავის კერძომესაკუთრულ ინტერესებს. ჯერ კიდევ არის ფაქტები, როდესაც ავტოსატრანსპორტო საწარმოებში მძღოლებს ფულს სძალავენ ლამის უკლებლივ ყველა ტექნოლოგიური ოპერაციისათვის, როგორიც არის საბუთების გაფორმება, ავტომანქანების შენახვა და რემონტი, სალტეების, სათადარიგო ნაწილების, ახალი სატრანსპორტო საშუალებების გამოყოფა და სხვ. თანაც მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში ფეხმოკიდებულია აზრი, რომ გამომძალვას, სამწუხაროდ, ეწევა ყველა — დისპეტჩერით, მოლარით, მექანიკოსით დაწყებული და ავტოსატრანსპორტო საწარმოს ხელმძღვანელით დამთავრებული. არ აღმოფხვრილა არც გადასაზიდი ტვირთის მოცულობის წამატებისა და შესაბამისი ფიქციური საბუთების გაფორმების ფაქტები. ამ და სხვა ნეგატიურ მოვლენებს, რომლებიც ჩარჩს სცხებენ დარგის, მთელი რესპუბლიკის სახელს, ერთხელ და სამუდამოდ ბოლო უნდა მოეღოს — ერთხმად განაცხადეს სამუშაო თათბირის მონაწილეებმა.

არ კლებულობს არც საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების რიცხვი. მათ სჩადიან ძირითადად ნასვამი მძღოლები. ლოთობასთან მტკიცე, უკომპრომისო ბრძოლის კურსს, განხორციელებულ ღონისძიებებს ეფექტიანი შედეგი მოსდევს. საკმარისია, მძღოლი თუნდაც ერთხელ გავიდეს რეისში ნასვამი, რომ ჩამოერთმევა დარგში მუშაობის უფლება. მაგრამ ბრძოლა კიდევ უფრო მტკიცედ უნდა წარმართოთ და გავაძლიეროთ, რათა მთლიანად გამოვრიცხოთ ნასვამი მძღოლის მიზეზით ავარიის მოხდენის შესაძლებლობა. საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების მეორე მიზეზი ზოგიერთის ზოგჯერ სუსტი ჯანმრთელობის მდგომარეობაც. მთელ რიგ ავტოსატრანსპორტო საწარმოებში არ არის დანერგილი მძღოლთა შემადგენლობის რეისისწინა სამედიცინო შემოწმება, რეისში გადიან ტექნიკურად უწესივრო ავტომობილები, სადისპეტჩერო სამსახური უხეიროდ უწევს კოორდინაციას ყველა საჭიროების სამგზავრო ტრანსპორტის მძღოლებს.

თათბირზე გამოვიდნენ № 1 საბტვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლი, სოციალისტური შრომის გმირი ვ. ემნაძე, გორის ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლი ლ. ალექსიძე, ზესტაფონის ავტოსაწარმოს მძღოლი მ. ჯიქაძე, № 2566 ავტოკოლონის მძღოლი მ. ნარეკლიშვილი, № 3 სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლი გ. პოლიკაშვილი, № 4 ავტოსატრანსპორტო საწარმოს კოლონის მძღოლი თ. გვაზავა, აფხაზეთის ავტოსატრანსპორტო გაერთიანების გენერალური დირექტორი ვ. ჯიქია, მარნეულის ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორი ზ. გოგიჩაიშვილი, № 2666 ავტოკოლონის პარტკომის მდივანი ნ. შურლაია, რომლებმაც ილაპარაკეს ავტოსატრანსპორტო სამსახურის საჭირბოროტო პრობლემებზე, მის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებსა და ხარვეზებზე.

აღინიშნა, რომ ტერიტორიის უკმარისობის გამო ავტომანქანებს ხშირად აყენებენ უშუალოდ ქუჩაში, რაც ქმნის პრობლემებს კონტროლისა და სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მხრივ, მთლიანად არ არის გადაწყვეტილი ის საკითხი, რომ ქალაქ თბილისის ბოლო გაჩერებებზე აშენდეს სანიტარიულ-საყოფაცხოვრებო ობიექტები, ფარდულები, მოეწყოს დასასვენებელი ოთახები ქალაქის სამგზავრო ავტოსატრანსპორტო მძღოლებისათვის. საერთო სარგებლობის ავტოტრანსპორტის ბევრი მუშაკი ძალზე დიდ სივიწროვეში ცხოვრობს, მაგრამ რესპუბლიკის ავტოტრანსპორტის სამინისტროს არ აძლევენ ფონდებს სახბინაო მშენებლობის განსახორციელებლად, ხოლო თვით სამინისტრო არ იჩენს სიმტკიცესა და პრინციპულობას ამ უმნიშვნელოვანესი პრობლემის გადასაჭრელად.

აღინიშნა, რომ პარტიის საოლქო, რაიონული კომიტეტები, პირველადი პარტორგანიზაციები, ადგილობრივი საბჭოთა ორგანოები უფრო ღრმად უნდა ჩაწვდნენ ავტოტრანსპორტის მუშაობას, სათავეში ჩაუდგნენ ბრძოლას ყოველივე დრომოჭმული, ჩვენი საზოგადოებისათვის უცხო მოვლენების წინააღმდეგ, შექმნან კოლექტივებში ნაკლოვანებათა შეუწყნარებლობის, მინდობილი საქმეთა უბნისათვის დიდი პასუხისმგებლობის ვითარება, მკაცრად მოჰკითხონ იმათ, ვინც მხოლოდ საკუთარი თავისათვის ზრუნავს და არ ენაღვლება სახელმწიფოს ინტერესები.

სერიოზული პრეტენზიები გამოთქვა აგრეთვე საავტომობილო გზათა სამინისტროს, სახელმწიფო ავტოინსპექციის, სხვა ორგანიზაციების მიმართ.

სამუშაო თათბირში მონაწილეობდნენ პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. დ. გაბუნია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის განყოფილების გამგე ბ. ზ. ბარსუკოვი.

(საქინფორმი).

საავტომობილო ტრანსპორტი უკეთ უნდა მუშაობდეს

ამბავი ერთ ოჯახზე

საჯარმო მეორე ოჯახიაო, ნათქვამია. სწორიც არის — თითოეული ჩვენგანი ხომ სწორედ საშუაოზე ატარებს ყოველდღიურად დროის მნიშვნელოვან ნაწილს, აქ ყალიბდება მოქალაქედ, ადამიანად, ქმნის საკუთარი ოჯახის, ქვეყნის საკეთილდღეო დოვლათს, უამრავი ხილული თუ უხილავი ძაფით არის დაკავშირებული მასთან. ამიტომაც არც ერთი პატიოსანი ადამიანისაგან არ ეფალატება მას...

ოც წელზე მეტია უწყვეტად ვმუშაობ ფოთის ჯაზღვაო ნავსადგურის მეორე საწარმოო რაიონში მეამწედ. ალალად შემიძლია ვთქვა, რომ ცდა და მონდომება არასოდეს დამაკლია საქმისათვის და, ამდენად, ჩემი მცირეოდენი წვლილი მუდამ შემქონდა მშობლიური კოლექტივის წარმატებებში. ანკი, როგორ შეიძლება კაცმა უგულოდ იმუშაოს ისეთი შესანიშნავი ადამიანების, სპეციალისტების მხარდამხარ, როგორიც არიან გივი გუგუშვილი, ბონდო ღურწკაია, ტიტე ჭირთბაია, ოთარ ბაბუნაშვილი, რუსლან ბაშალეიშვილი და მრავალი სხვა.

მათი და საერთოდ კეთილსინდისიერი, გამრჯე მუშაკების მოუღლელი მარჯვენის მადლია განვლილ ხუთწლედში, ყრილობიდან ყრილობამდე ასე სასიკეთოდ რომ შეიცვალა, ამდენი წარმატებები მოიპოვა ჩემმა მშობლიურმა საწარმომ, ქალაქმა, რესპუბლიკამ. ჩვენი ნავსადგურის კოლექტივმა გასული წლის 3 სექტემბრისათვის შეასრულა მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებები და წლის ბოლომდე 1.491 ათასი ტონა ზეგეგმითი სახალხო-სამეურნეო ტვირთი გადაამუშავა. ყველასათვის კარგად არის ცნობილი ფოთელთა ბოლოდროინდელი წარმატებებიც. წლეულს კვლავ რომ აღინიშნა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულის გარდამავალი წითელი დროშით, ქალაქში მიმდინარე ექსპერიმენტიც, რომელმაც საკავშირო აღიარება მოიპოვა. გვახარებს რესპუბლიკის მშრომელთა შესანიშნავი მიღწევები, რომლებითაც ისინი სკკპ XXVII ყრილობას ეგებებიან.

მაგრამ მიღწეული, როგორც იტყვიან, მართლაც მიჯნა არ არის. მით უფრო ახლა, როდესაც რესპუბლიკის კომუნისტთა ოცდამეშვიდე ფორუმმა პირუთვნელი კრიტიკისა და თვითკრიტიკის, მიღწეულით დაუკმაყოფილებლობის ვითარებაში ყოველმხრივ გააანალიზა განვლილ ხუთწლედში გაწეული მუშაობა, გამოამაკარავა არსებული ნაკლოვანებები, დასახა მათი ოპერატიული გამოსწორების, ახალ წარმატებათა მოპოვების კონკრეტული გზები და საშუალებები.

ყრილობის გადაწყვეტილებათა უფუო შესრულებისათვის ყველგან და ყველაფერში უკეთ, მეტი პასუხისმგებლობით გარჯა, რესურსების ყაირათიანი გამოყენება, რეზერვების ძიება გვმართებს. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ყოველი მუშაკი თავის სამუშაო ადგილზე შრომობდეს მაქსიმალური მონდომებით, კეთილსინდისიერად.

ყრილობაზეც ითქვა და მშობლიური კოლექტივის მაგალითითაც მრავალგზის დავრწმუნდი, რომ ამის მიღწევის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა მუშაობის პროგრესული ფორმის — ბრიგადული ოჯახის გამოყენება. ახლა ჩვენთან დატვირთვა-განტვირთვის ძირითადი სამუშაოები მთლიანად ამ ფორმით სრულდება. მეორე საწარმოო რაიონში, სადაც მე ვმუშაობ, ორი წელია შექმნილია 82-კაციანი სამეურნეო ანგარიშიანი ბრიგადა. შედეგები მართლაც კარგია. საგრძნობლად განმტკიცდა დისციპლინა, ამაღლდა პასუხისმგებლობა, მუშაობის ხარისხი, შრომის ნაყოფიერება, საშუალო თვიური გამომუშავება.

მაგრამ, როდესაც მუშაობის პროგრესული ფორმების, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის, სიახლეთა დანერგვისათვის ვზრუნავთ, არც მუშათა კლასის საიმედო ცვლის აღზრდას უნდა დავაკლოთ ხელი. (ამ საკითხზე ხომ კიდევ ერთხელ განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობამ). მეტად უნდა ვენდოთ ახალგაზრდებს. ზოგჯერ კი ისეც ხდება, რომ ახალგაზრდა დამწყებ სპეციალისტს, აქაოდა გამოუცდელობის გამო, შეიძლება თანამედროვე ტექნიკა სწორად ვერ ამუშაოს, გააფუჭოსო, ნიჩაბს შეაჩეჩებენ ხოლმე ხელში. მას კი ასეთი უნდომლობა გულს უტეხავს, ტოვებს სამუშაოს. ასე მოუვიდა, მაგალითად, ჩვენთან ახალგაზრდა შეამწეს ჯუმბერ ყალიჩავას. მს, როცა ახალბედა იყო, რაღაც შეეშალა. ამ დროს ახალგაზრდას მხარში ამოდგომა, ტაქტიანი რჩევა-დარიგება, დახმარება და გულისხმიერება სჭირდება. მას კი უგანეს. მიატოვა სამუშაო. ამ ორიოდე წლის წინათ, როცა მერგოლურად ამირჩიეს, ქუჩაში შევხვდი. ვესაუბრე, დავიყოლიე უკან დაბრუნებაზე. ახლა იგი მეორე კლასის სპეციალისტი, და ერთ-ერთი მისაბაძი მუშაკია, ძმაც მოიყვანა ჩვენთან სამუშაოდ.

ასეთი მაგალითების ჩამოთვლა კიდევ შეიძლება. მაგრამ ზრუნვა და ამხანაგური დახმარება საჭიროებისას სრულებითაც არ გამორიცხავს მკაცრ მომთხოვნელობას. მეტი პრინციპულობა უნდა გამოვიჩინოთ უდისციპლინოების, ბაბუსის მოყვარულების, „ფრენიების“, წუნისმკეთებელთა მიმართ. ჩვენს საწარმოში შექმნილია შრომის, საწარმოო და საზმარსულებლო დისციპლინის დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის კომისია, რომლის წევრი მეც ვარ. იგი თითქოს არ მუშაობს ურიგოდ, თავის სხდომებზე სისტემატურად განიხილავს ამა თუ იმ დარღვევის ყოველ ცალკეულ შემთხვევას, სათანადო ღონისძიებებსაც ახორციელებს, მაგრამ ამსოლუტურად კარგი, სასურველი შედეგი მაინც არა გვაქვს. ხოლო ეს კიდევ ერთხელ მიანიშნებს, რომ ბევრ ღონისძიებას თუნდაც ცოტა, მაგრამ კონკრეტული საქმე სჯობია. აქ არ შეიძლება ლიბერალიზმი, შემგუებლობა, თვითდამშვიდება. ადამიანები დარწმუნებული უნდა იყვნენ, რომ ყველა, თანამდებობისა და რანგის მიუხედავად, ერთნაირად აგებს პასუხს დარღვევებისათვის, დანაშაულისათვის, საერთო საქმის ინტერესთა ღალატისათვის. ამის კარგი მაგალითია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მტკიცე და უკომპრომისო ბრძოლის კურსი, რომელსაც იგი ჩვენი ცხოვრების წესის, მორალის ნორმებისაგან ყოველგვარი გადახრის წინააღმდეგ ბრძოლისას ადგას, და რომელიც ასე ნათლად გამოიკვეთა რესპუბლიკის კომუნისტთა XXVII ფორუმზეც.

ჩვენი საწარმოო რაიონის მშრომელებმა, რომლებიც ალი ნელის პირველი დღეებიდანვე მონდომებით მუშაობენ, საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის ღირსეული შეხვედრის მიზნით 23 იანვრისათვის უპატაკეს მიმდინარე წლის პირველი თვის გეგმის შესრულება. ორი თვის დავალებას კი სკკპ XXVII ყრილობის გახსნის დღისათვის გავანაღდებთ.

ბ. ჯიქიძე,
ფოთის ნავსადგურის მეორე საწარმოო რაიონის დოკერ-მექანიზატორთა მერგოლური, პირველი კლასის მეამწე.

მიფრინავს „ეროსოლ-1731“

საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-1731“.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა ნორმალურად მუშაობს და განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას. (საკდისი).

სკკპ XXVII ყრილობის დელეგატები

ანატოლი დიხტიარი — თბილისელი მუშენებელი

— დღეს მშენებელს დიდი ცოდნა უნდა ჰქონდეს: სხვაგვარად ძნელია გაერკვე სამშენებლო კონვეიერის რთულ მექანიზმში, რომლის ცალკეულმა რგოლებმა უნდა უზრუნველყონ საბოლოო პროდუქციის გამოსავალი, ამასთან ხარისხიანი პროდუქციისა, რომელიც დააკმაყოფილებს საბჭოთა ადამიანების გაზრდილ მოთხოვნილებას, — მიაჩნია ანატოლი დიხტიარს, რომელიც ხელმძღვანელობს გაერთიანება „თბილისსამშენის“ № 5 სახლთსაშენებელი კომბინატის სამეურნეოანგარიშიან კომპლექსურ ბრიგადას. ოცი კაცისაგან შემდგარი კოლექტივი წელიწადში დაახლოებით ექვსი ათას კვადრატულ მეტრ საცხოვრებელ ფართობს აბარებს. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, შრომითი დიდების ორდენის კავალერის ანატოლი დიხტიარის ბრიგადის მიერ აშენებული სახლები თბილისის მრავალ რაიონში დგას. მშენებლებს ახალმოსახლენი არ ემდურიან: სანამ საექსპლოატაციოდ გადაცემულ საცხოვრებელ კორპუს დატოვებდეს და ყველა მცხოვრებს მიულოცავდეს ახალმოსახლეობას, ა. დიხტიარი აუცილებლად გაიგებს მათ აზრს მშენებლობის ხარისხზე, აღმოფხვრის ხარვეზებს, გაითვალისწინებს შენიშვნებს შემდგომისათვის.

„ვარკეთილი-3“ საქართველოს დედაქალაქში ყველაზე ახალგაზრდა, კომფორტული, კეთილმოწყობილი რაიონია. საცხოვრებელი სახლები აქ საექსპლოატაციოდ გადაეცა სახურსათო მაღაზიების, რძის პავილიონების, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების, პოლიკლინიკის კომპლექსში. მრავალსართულიანი კორპუსებისაკენ მიმავალი ყველა გზა ბეტონის ფილებითაა დაფარული, გვერდით კი მწვანე გაზონები, დეკორატიული აუზებია. „ვარკეთილი-3“ დღეს 87 ცხრა და თოთხმეტსართულიანი სახლია, რომლებშიც უკვე ექვსი ათასი ახალმოსახლე ცხოვრობს. ისინი კეთილად იხსენიებენ მშენებლებს, რომელთა შორის არის სკკპ XXVII ყრილობის დელეგატის ანატოლი დიხტიარის კომპლექსური ბრიგადა.

სურათებზე: კომუნისტთა საკავშირო ფორუმის დელეგატი, გაერთიანება „თბილისსამშენის“ № 5 სახლთსაშენებელი კომბინატის კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ანატოლი დიხტიარი ძე დიხტიარი; ახალი რაიონის ყველაზე ნორჩი მოქალაქეები ყველაზე მადლიერი ახალმოსახლეები არიან.

ვ. დათიკაშვილის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

არც ერთი მოცდენილი ვაგონი!

ვაგონთა მოცდენების შემცირებისათვის შარშან ბევრი რამ გაკეთდა და, შარშანწინდელთან შედარებით, შედეგიც მნიშვნელოვნად უკეთესია. გაძლიერდა ამ საქმისათვის ტვირთის მიმღები ორგანიზაციების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა, მრავალმა მათგანმა ეს საკითხი უპირველეს საზრუნავად გაიხადა. განხორციელდა ობიექტებთან მისასვლელი ლიანდაგების შეკეთება-აღდგენისა და სატვირთო ოპერაციების მექანიზაციასთან დაკავშირებული ღონისძიებანი. ერთი სიტყვით, უფრო ოპერატიული და მოქნილი გახდა მოვალეობისადმი დამოკიდებულება როგორც ტვირთის მიმღებთა, ისე რკინიგზელთა მხრივ.

ცეკავშირის გამგეობამ მაგალითად, აცნობა გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას, რომ შარშან 1984 წელთან შედარებით ვაგონების ბრუნვის მნიშვნელოვანი ზრდის პირობებში ერთი ვაგონის საშუალო მოცდენა და მოცდენებზე დარიცხული ჯარიმები შესაბამისად 0,96 საათითა და 22652 მანეთით შემცირდა. ამ დარგში ახლა ხორციელდება დამატებითი ღონისძიებანი მძიმრავი შემადგენლობის ზენორმატიული მოცდენების სრული ლიკვიდაციისათვის.

სასურველი იქნებოდა, რომ რესპუბლიკის ყველა სამინისტროს, უწყების, საწარმოო გაერთიანების, საწარმოს, ქალაქისა და რაიონის ხელმძღვანელისაგან რედაქციას მიეღო ცნობები იმის თაობაზე, თუ რას აპირებენ ისინი ვაგონთა მოცდენების მკვეთრი შემცირებისა და შემდგომში ამ საქმეში სრული წესრიგის დამყარებისათვის.

ახლა გადავხედოთ, როგორ გვაქვს საქმე ამ მიმართულებით იანვარში. შარშან იანვარში ტვირთის მიმღებთა მიზეზით რესპუბლიკაში 7563 ვაგონი, ხოლო წლეულს ამავე პერიოდში 2968 ვაგონი მოცდა.

როგორც ხედავთ, მდგომარეობა მკვეთრად უმჯობესდება და ახლა საჭიროა ხელიდან არ გავუშვათ ინიციატივა, რითაც ფასდაუდებელ დახმარებას გავუწევთ სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანეს დარგს — რკინიგზას. ვაგონთა დაყოვნების შემთხვევების მთლიანი აღმოფხვრა დიდად დაგვეხმარება სსრ კავშირის ეკონომიკურ-სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა პროექტით დასახული ამოცანებისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში.

არც ერთი ვაგონი არ მოცდენილა მიმდინარე წლის იანვარში ფოთისა და ბათუმის ნავსადგურებში, ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი, რუსთავის მეტალურგიული, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნების, მადნეულის სამთო-მამდიდრებელი კომბინატის, ტყვარჩელის ქვანახშირის ცენტრალური მამდიდრებელი ფაბრიკისა და ჭიათურის მანგანუმის საწარმოო გაერთიანების მიზეზით. სასიამოვნოა, რომ სწორედ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის წამყვანმა დარგებმა მიაღწიეს ესოდენ სასურველ შედეგებს.

კარგი იქნება, თუ ზემოხსენებულ საწარმოებს ტყვარჩელის თბოელექტროსადგური და სახაგრომრეწვის ტვირთის მიმღები ორგანიზაციები მიჰბაძავენ. პირველმა მათგანმა იანვარში 100, ხოლო მეორემ 443 ვაგონი მოაცდინა. არადა, შარშან ამ დროს ტყვარჩელელ ენერგეტიკოსთა მიზეზით მხოლოდ 7

ჩვენი მუშაობის ხარისხი

როცა კომუნისტები კრებებზე და კერძო საუბარში საყრილობო დოკუმენტებს განიხილავენ, ისინი ეხებიან ისეთ აქტიურულ საკითხებს, რომლებსაც სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს და რომელთა გადაწყვეტა ბევრად განსაზღვრავს ჩვენი საზოგადოების ეკონომიკურ და პოლიტიკურ მდგომარეობას.

მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი: ქობულეთის რაიონის ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობა ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი მსხვილი მეურნეობაა. აქაური მეჩაიეები ხუთი ათას ტონაზე მეტ ჩაის აძლევენ ქვეყანას. მათ შრომა დიდად შეუმსუბუქა თანამედროვე ტექნიკამ. ამის გამო სოფლის მშრომელები მადლობის სიტყვებით იხსენიებენ მეცნიერებს, ახალი მანქანების შემქმნელებს. მაგრამ მთა სასაყვედუროც აღმოაჩნდათ იმ საწარმოთა მიმართ, რომლებიც ისეთ ხელის საკრეფ მანქანებს უშვებენ, რომლებიც ხანგრძლივ ექსპლუატაციას ვერ უძლებენ. ეს ხაზგასმით იყო ნათქვამი ოჩხამურელ კომუნისტთა კრებაზე, როცა ჩვენი

პარტიის, ჩვენი ქვეყნის შემდგომი წინსვლის ისტორიულ დოკუმენტებს განიხილავდნენ. თავად განსჯეთ, მეჩაიე, რომელიც გასულია პლანტაციაში, ცდილობს ხვავი და ბარაქა შექმნას, მაგრამ მოულოდნელად უმტყუნებს ხელმე ხელის საკრეფი აპარატი. პლანტაცია სახელოსნოდან ერთი საათის სავალზეა. სანამ სახელოსნოში მივა, აპარატს გაუმართავენ, უკან დაბრუნდება და საქმეს შეუდგება, დროც დიდი გადის და ბაწყობილებაც უფუჭდება. მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანმა ა. ჯინჭარაძემ ერთ-ერთ თავის გამოსვლაში სწორედ ის საკითხი დააყენა, რომელიც მომავალში აუცილებელ გადაწყვეტას საჭიროებს. სკკპ ახალი პროგრამის პროექტში ნათქვამია: „პარტია აქტიურად დაუჭერს მხარს სამეურნეო მარკის ღირსებისათვის ბრძოლას...“, — საჭიროდ მიმაჩნია ეს აზრი გაღრმავდეს შემდეგნაირად: „კიდევ უფრო გააძლიერებს მომთხოვნელობას და პასუხისმგებლობას უხარისხო საქონლისა და კონსტრუქციული ღირებულების მქონე დანადგარებისა და აპარატების მწარმოებელთა მიმართ“.

დიახ, ხარისხისათვის ბრძოლა ჩვენი ქვეყნის, ჩვენი პარტიის მთავარი პოლიტიკა იყო და არის. კიდევ უფრო უნდა განმტკიცდეს პირადი პასუხისმგებლობა პროდუქციის ხარისხისათვის, გაიზარდოს მომკითხველობა წუნისმკეთებელთა მიმართ, საწარმოთა ისეთ ვაი-ხელმძღვანელთა მიმართ, რომლებიც თვალის ასახვევად რაოდენობას გამოედევნებიან ხოლმე და არ დაგიდევენ ხარისხს. ამჟამად აპარის სავაჭრო ქსელში მილიონობით მანეთის ზენორმატიული ნაშთია დაგროვილი. ვაჭრობის სფეროს მუშაკები მრავალნაირ ფორმებსა და მეთოდებს მიმართავენ მდგომარეობის გამოსასწორებლად, მაგრამ წარმატებას ვერ აღწევენ. ამას თავისი მიზეზიც აქვს. გაიზარდა ადამიანთა გემოვნება და მოთხოვნილება, ისინი ზედაც არ უყურებენ ცუდად დაჩითულ, უხეიროდ შეკერილ ტანსაცმელს, რომელიც უკვე გახუხდა დახლებსა და საწყობებში.

ბათუმის უნივერმაღის პარტიულ კრებაზე სწორედ პროდუქციის ხარისხის საკითხი იდგა. სამკერვალო გაერთიანებასა და უნივერსალურ მაღაზიას შორის დავა და კამათია. გაერთიანება ამაღლებს ყოველგვარი სახის პროდუქცია წაიღოს, მაღაზიას კი მიაქვს ის, რომელზეც მოთხოვნილებაა, და სწორადაც შვრება. ცოტა როდია შემთხვევა, როცა სამკერვალო და ფეხსაცმლის ფაბრიკებს ან სხვა საწარმოებს უკან უბრუნებენ მდარე ხარისხის პროდუქციას, რომელსაც მყიდველი არა ჰყავს. ისინი კი კვლავაც მთელი დატვირთვით უშვებენ იმავე პროდუქციას, თუმცა წინასწარვე იციან, რომ არ გასაღდება. გინა ასეთი უპასუხისმგებლობა დანაშაული არ არის?

ჟომუნისტები ყრილობისწინა დოკუმენტების განხილვისას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ პარტიის წევრის უფლებასა და მოვალეობას. სკკპ წესდების პროექტი მოითხოვს, რომ პარტიის წევრი იძლეოდეს შრომისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების, საუცხო ორგანიზებულობისა და დისციპლინიანობის შაგალითს, სანიმუშოდ ასრულებდეს მოქალაქეობრივ მოვალეობას, იცავდეს კომუნისტური მორალის ნორმებს, პარტიულ და სახელმწიფო დისციპლინას. არცთუ იშვიათად პარტიის რიგებში შესვლას ახერხებენ ანგარებთან შეპყრობილი, ზნეობრივად დაცემული ადამიანები. ამას მოწმობს ფაქტები. ბოლო ორ წელიწადში — პარტიის საოლქო კომიტეტის ერთ საანგარიშო პლენუმზე — ავტონომიურ რესპუბლიკაში ჩვენ ამ ნეგატიური მოვლენების ფესვებზე ვიმსჯელეთ. ეს ფესვები ბევრ ადგილას ადამიანთა ზნეობრივ ფასეულობათა ბოროტ ტრანსფორმაციაში, ანუ ზნეობრივ ფასეულობათა ინფლაციაში, ანუ ზნეობრივ ფასეულობათა ფეტიშიზ

მსოფლიო

ფაქტები • მოვლენები

აქტუალური ინტერვიუ

კ. საგანი: მეცნიერება — პროგრესის სიმბოლო

პარიზი. თვალსაჩინო ამერიკელმა მეცნიერმა-ასტრონომმა, კორნელის უნივერსიტეტის პროფესორმა კარლ საგანმა მხარი დაუჭირა ფართო საერთაშორისო თანამშრომლობას კოსმოსური სივრცის მშვიდობიანი ათვისების ინტერესებისათვის.

საბჭოთა კავშირმა, განაცხადა მან პარიზის გაზეთ „ლიბერასიონისათვის“ მიცემულ ინტერვიუში, მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია მზის სისტემის სხვადასხვა პლანეტების შესწავლაში. საბჭოთა მეცნიერების გამოცდილება, ამერიკის შეერთებული შტატების მიღწევები ამ დარგში რეალურს ხდის საბჭოთა კავშირ-ამერიკის ერთობლივი ექსპედიციის მოწყობას ერთ-ერთ პლანეტაზე, კერძოდ, მარსზე. ასეთი პროექტი ბევრად უფრო სასარგებლო და იაფი იქნებოდა, ვიდრე „ვარსკვლავეთის ომები“, სტრატეგიული შეიარაღების ახალი სისტემების შემუშავება. თუ როდენ მნიშვნელოვანია ორმხრივი თანამშრომლობა კოსმოსის მშვიდობიანი ათვისების საქმეში, თვალნათლივ დადასტურა 1975 წელმა, როცა განხორციელდა ამერიკული „კოსმოსური ხომალდის „აპოლონისა“ და საბჭოთა ხომალდ „სოიუზის“ შეპირაპირება.

ორბიტული კოსმოსური სადგურები, თქვა შემდეგ კ. საგანმა, უკვე აღარ აოცებს ადამიანს. მაგრამ საპლანეტათშორისო ფრენაც ახლო მომავლის საქმე კი არა, რეალური სახვალიო ნაბიჯია. დღეს ჩვენ საბჭოთა კოლეგებთან ერთად, რომლებიც მხარს უჭერენ ამ იდეებს, განვიხილავთ ასეთი გეგმების. მათი განხორციელება კვლავ ცხადყოფდა ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის თანამშრომლობის შესაძლებლობას.

მარსზე მოწყობილ ექსპედიციაში მონაწილეობის მიღება, თქვა მეცნიერმა, ყველა დაინტერესებულ ქვეყანას შეუძლია. უმჯობესია ერთობლივად შევისწავლოთ მზის სისტემა და ამრიგად უზრუნველვყოთ ჩვენი ცივილიზაციის მომავალი. თანამშრომლობისას საერთაშორისო გაერთიანებას შეუძლია მრავალი მნიშვნელოვანი საერთაშორისო პროექტი განახორციელოს დედამიწაზეც. მეცნიერება ყოველთვის პროგრესის სიმბოლო უნდა იყოს, და არა სატანჯველი კაცობრიობისათვის, თქვა მან.

დაგშეს აპარტეიდის რეჟიმი

ადამიანის უფლებათა კომისიის სესიაზე

ჟენევა. აქ ერთა სახასლეში მიმდინარე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომისიის 42-ე სესიის მონაწილეებმა დაიწყეს იმ საკითხთა განხილვა, რომლებიც უკავშირდება ადამიანის უფლებათა დარღვევას სამხრეთ აფრიკაში, რასისტული რეჟიმისადმი პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური დახმარების არასასიკეთო შედეგებს ადამიანის უფლებათა დაცვისათვის. განიხილავენ აგრეთვე, თუ როგორ სრულდება საერთაშორისო კონვენციათა აპარტეიდის დანაშაულობათა აღკვეთისა და მის გამო დასჯის შესახებ.

დღევანდელი სხდომის მონაწილეებს, კერძოდ, წარუდგინეს ექსპერტთა სპეციალური სამუშაო ჯგუფის მოხსენება „სამხრეთ აფრიკაში ადამიანის უფლებათა დარღვევების შესახებ“. ჯგუფის თავმჯდომარემ ანან არკუმ (ტანზანია), რომელმაც ჩამოაყალიბა მისი ძირითადი დებულებანი, განსაკუთრებით გაუსვა ხაზი იმ ფაქტს, რომ პრეტორიის რასისტული რეჟიმი, რომელმაც ქვეყანაში საკანგებო წესები შემოიღო, იყენებს მათ მკვიდრი მოსახლეობის წინააღმდეგ რეპრესიების გაძლიერებისათვის, უხეშად აღიღვევს ადამიანის უფლებებს. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტები აძლიერებენ აგრეთვე ნამიბიის კოლონიურ ჩაგრასა და აგრესიულ მოქმედებას მეზობელი აფრიკული სახელმწიფოების, კერძოდ, ანგოლის, ზამბიის, ლესოთოს წინააღმდეგ. მან მოიყვანა სასტიკი ექსპლოატაციის, თვითნებობისა და რეპრესიების მრავალრიცხოვანი ფაქტები.

შემდეგ გამოვიდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, კენიის, აფრიკელთა ეროვნული კონგრესის, ნიკარაგუის, ავღანეთის, იორისტთა საერთაშორისო ასოციაციის წარმომადგენლები, რომლებმაც ხაზი გაუსვეს, რომ აპარტეიდის რეჟიმის სახელმწიფო ტერორიზმის პოლიტიკა, რასიზმი და რასობრივი დისკრიმინაცია დანაშაულია, კაცობრიობის წინააღმდეგ მორალის ნორმების, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებისა და გადაწყვეტილებების დარღვევაა.

კენიის წარმომადგენელმა ნენის დაუდი აფანდემ კომისიის მოუწოდა ბოლოს და ბოლოს შეიმუშაოს ეფექტიანი ღონისძიებანი, რათა ბოლო მოუღოს სამხრეთ აფრიკაში ადამიანის უფლებათა უხეშ და მასობრივ დარღვევებს. მის გამოსვლაში ხაზგასმულია, რომ აპარტეიდის აღმოუფხვრელად შეუძლებელია კონტინენტის სამხრეთში მტკიცე და სტაბილური მშვიდობის დამყარება.

შანტაჟის აშკარა ცდა

ვაშინგტონი. შეერთებული შტატები კვეცავს თავის მონაწილეობას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში და მის სპეციალიზებულ დაწესებულებებში. ამას მოწმობს რეიგანის ადმინისტრაციის მიერ კონგრესისათვის წარდგენილი 1987 |საფინანსო წლის ფედერალური ბიუჯეტის პროექტი. პროექტის თანახმად, მომავალ საფინანსო წელს გათვალისწინებულია საერთაშორისო ორგანიზაციებში ამერიკის შეერთებული შტატების შესატანების 10 მილიონი დოლარით შემცირება, როგორც დოკუმენტშია ნათქვამი, მთავრობა მომავალშიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიმართ „შეზღუდულ საბიუჯეტო პოლიტიკას“ განახორციელებს.

სრულიად აშკარაა ვაშინგტონის ცდა ფინანსურ შანტაჟს მიმართოს საერთაშორისო გაერთიანების წინააღმდეგ. ამერიკის ადმინისტრაციის წარმომადგენლები ბოლო წლებში აძლიერებენ ცილისმწამებლურ კამპანიას გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და მისი სპეციალიზებული დაწესებულებების მიმართ. ამასთან არ მალავენ გაღიზიანებას იმის გამო, რომ საერთაშორისო გაერთიანების წრეებში სულ უფრო მწვავედ აკრიტიკებენ შეერთებული შტატების ავანტიურისტულ პოლიტიკას. ამ კრიტიკის ჩახშობა რომ არ ძალუძს, ვაშინგტონი ყველაზე ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციის წინააღმდეგ მუქარისა და ფინანსური „სანქციების“ ტრადიციულ მეთოდებს იყენებს. უფრო მეტიც, ფაქტობრივად შეწყდა შეერთებული შტატების მონაწილეობა იუნესკოში, ახლა კი თეთრი სახლი იმუქრება, რომ ჩიოკოტს გამოუცხადებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის იმ სპეციალიზებულ დაწესებულებებს, სადაც აკრიტიკებენ ახლო აღმოსავლეთში ვაშინგტონის მთავარი მოკავშირის — ისრაელის აგრესიულ აქციებს.

ცილისმწამებლური კამპანია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიმართ

ცდილობს რა ძირი გამოუთხაროს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფინანსურ ბაზას, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა თავისი მოქმედებით აქარწყლებს თავისსავე მტკიცებას, თითქოს იგი მსოფლიო გაერთიანების წესდებისა და მიზნების „ერთგულია“, რომლებიც ითვალისწინებენ მშვიდობისა და საერთაშორისო ურთიერთგაგების განმტკიცებას. სინამდვილეში ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედი კვლავ უხეში დიქტატი, ზემოქმედება და სხვა სახელმწიფოების საქმეში ჩარევაა. როგორც ფედერალური ბიუჯეტის პროექტში ცინიკურად არის აღნიშნული, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქმიანობისათვის თანხების გაზრდის ნაცვლად, ადმინისტრაციამ „გადაწყვიტა პრიორიტეტი მიანიჭოს საზღვარგარეთის სახელმწიფოებისათვის დახმარების სხვა ფორმებს“. საქმე ეხება, უწინარესად, მსოფლიოში ვაშინგტონის მოკავშირეებისა და მარიონეტებისათვის შეიარაღების მიწოდების ესკალაციას.

● ზვეიცარია

დამთავრდა მორიგი რაუნდი

ჟენევა. სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციებმა განიარაღების საკითხთა კონფერენციაზე აქ დასრულეს რაუნდი აზრთა ორმხრივი გაზიარებისა, რომელიც ეწყობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რ. რეიგანის იმ მორიგების შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს გააჯანსაღონ ძალისხმევა ქიმიური იარაღის საყოველთაო და სრული აკრძალვის ეფექტიანი და კონტროლს დაქვემდებარებული საერთაშორისო კონვენციის დასადებად და გააძლიერონ ექსპერტთა ორმხრივი ბჭობა ასეთი ქიმიური იარაღის პრობლემის ყველა ასპექტის, მათ შორის, კონტროლის საკითხების შესახებ.

ფოტოფაქტი

შეწყდეს რასისტებისადმი დახმარება!

სპკროტესტო დემონსტრაცია ვაშინგტონში

ანგოლის უნიტას ანტისამთავრობო დაჯგუფებისადმი ამერიკის შეერთებული შტატების დახმარების წინააღმდეგ საპროტესტო დემონსტრაცია გაიმართა ვაშინგტონში, სადაც დიდი ამბით მიიღეს ბანდიტთა მეთაური სავიმბი. „უნიტასადმი დახმარება აპარტეიდისათვის დახმარებაა“, „ტერორისტო სავიმბი, ნაეთრიე სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში!“, — გაიძახოდნენ დემონსტრაციის მონაწილენი. მათ მიერ გავრცელებულ ფურცლებში აღნიშნული იყო, რომ უნიტას მეამბოხეთა ბანდა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტული რეჟიმის დამჭაშია და მისდამი დახმარება ეწინააღმდეგება მშვიდობისა და სამართლიანობის დამყარებას სამხრეთ აფრიკაში.

სურათზე: დემონსტრაციის დროს.

საქდესის ფოტო.

ბოროტებას სჩადიან ვაშინგტონის მითითებით

მოითხოვენ პაკისტანიდან ავღანელი დუშმანების გარეკვას

ქაბული. ისლამაბადის ხელისუფალთა სინდისზეა ხაიბერის რაიონის მკვიდრი თავისუფლებისმოყვარე ტომების წინააღმდეგ ჩადენილი მრავალი დანაშაული. ეს ნათქვამია წერილში, რომელიც ბაჯაურის (პაკისტანი) საგენტოს ულემთა სამჭოს თავმჯდომარემ მაულავი ახუნდ-ზადემ გაუგზავნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ხ. პერეს დე კუელიარს.

ორი თვის მანძილზე, რაც პაკისტანის არმია აფრიდისა და შინვარის ტომების წინააღმდეგ იბრძვის, დახოცილია ათასობით უდანაშაულო ადამიანი. მათ შორის ქალები, ბავშვები და მოხუცები, დანგრეულია ასობით სახლი. დამსჯელი აქციები დღესაც გრძელდება, ხაზგასმით არის აღნიშნული წერილში. პაკისტანის მხედრიონი, ნათქვამია წერილში, ბოროტებას სჩადის ამერიკის შეერთებული შტატების მითითებითა და მფარველობით. წერილი მოუწოდებს საერთაშორისო საზოგადოებრიობას მოითხოვონ, რომ პაკისტანის მხედრიონმა დაუყოვნებლივ შეწყვიტოს შეიარაღებული ინტერვენცია ხაიბერში.

როგორც ბახთარის საგენტო იუწყება, აფრიდისა და შინვარის ტომების შეიარაღებული რაზმები კვლავაც საკადრის პასუხს სცემენ პაკისტანის რეგულარული არმიის ქვეგანაყოფებს და მათთან ერთად მომქმედ ავღანელ კონტრრევოლუციონერთა ბანდებს. გარუკაუს რაიონში (ხაიბერის რაიონი) პუშტუნებმა იერიში მიიტანეს „ხეზბე ისლამის“ დაჯგუფების დუშმანებზე. დახოცეს და დაჭრეს ათი ბანდიტი. თორი მანდის რაიონში აფრიდელთა რაზმმა მოსპო პაკისტანელი დაქირავებულებით სავსე სატვირთო ავტომობილი.

პაკისტანიდან მიღებული ცნობებით, იქ ფართოვდება უკმაყოფილება ავღანელ კონტრრევოლუციონერთა ბანდების ყოფნის გამო. პეშავარში გაიმართა დემონსტრაცია, რომლის მონაწილეებმაც მოითხოვეს ქვეყნიდან დაუყოვნებლივ გარეკონ ავღანელი დუშმანები, რომლებსაც ბრალი მიუძღვით პაკისტანის მიწაზე ჩადენილ მრავალ დანაშაულში. ჯალალაბადის რაიონის მეხოვრებლებმა ბაჯაურის საგენტოში ისლამაბადის რეჟიმის პოლიტიკურ წარმომადგენელს გაუგზავნეს დელეგაცია, რომელმაც მას ულტიმატუმი გადასცა. ულტიმატუმში ნათქვამია: თუ ჯალალის ტერიტორია უახლოეს ხანში არ გაიწმინდება ავღანელი ბანდიტებისაგან, სანამ-დე შედეგებისათვის მთელი პასუხისმგებლობა დაეკისრება პაკისტანის ხელისუფალს.

მოკლედ

◆ **ნიუ-იორკი.** გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბ-ბინაში დაიწყო მშვიდობიანი მიზნით კოსმოსური სივრცის გამოყენების კომიტეტის სამეცნიერო-ტექნიკური ქვეკომიტეტის მორიგი სესია, რომელის ყურადღების ცენტრშია კოსმოსის ათვისებაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მშვიდობიანი გამოყენების უსაზღვრო პერსპექტივები.

◆ **დელი.** შეერთებულ შტატებს განზრახული აქვს კვლავაც განაგრძოს ინდოეთის მიმართ ზემოქმედებისა და შანტაჟის პოლიტიკა. ასეთი დასკვნა გამოაქვს ინდოეთის პრესას, რომელიც განმარტავს ამერიკის შეერთებულ შტატებში ინდოეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ბ. რ. ბჰაგატის დამთავრებული ვიზიტის შედეგებს.

◆ **ვაშინგტონი.** ჰაიტაზე ბოლო დღეებში დამხობილი დიქტატორის დიუვალიეს საიდუმლო პოლიციის აგენტებთან „ტონტონ-მაკუტებთან“ მოსახლეობისა და ჯარისკაცების გააფთრებულ შეტაკებათა შედეგად ათასამდე კაცი დაიღუპა. „მთავრობის ეროვნულმა საბჭომ, რომელმაც თავის ხელში აიღო ძალაუფლება, მიიღო გადაწყვეტილება დაშალოს საიდუმლო პოლიციის ეს ძალები.

● ფილიპინები

აჯამებენ არჩევნების შედეგებს

მანილა. ფილიპინების ეროვნული ასამბლეა შეუდგა 7 თებერვალს გამართული პრეზიდენტის არჩევნების შედეგების შეჯამებას. კენჭისყრის დროს ფილიპინელებს არჩევანი უნდა გაეკეთებინათ სახელმწიფოს ახლანდელ მეთაურს ფ. მარკოსსა და ბურუუაზიული ოპოზიციის ლიდერს კ. აკინოს შორის.

თუმცა კენჭისყრის შედეგების მონაცემები მოსულია ნახევარზე ნაკლები საარჩევნო უბნებიდან. ორივე კანდიდატმა უკვე განაცხადა, რომ გაიმარჯვა არჩევნებში, მეტიც, ოპოზიციის კანდიდატი ამტკიცებდა, თუ ფ. მარკოსის გამარჯვებას გამოაცხადებენ, „მისი მომხრეები მზად არიან ქუჩებში გამოვიდნენო“. თავის მიმართვაში ხალხისადმი პრეზიდენტმა მოუწოდა დაიცვან სიმშვიდე და ნაზგასმით აღნიშნა, რომ ოპოზიციის წარმომადგენლები განზრახან აძლიერებენ დაძაბულობას, რათა პროვოკაციულად გამოიწვიონ არეულობა და ძალადობა.

დღეს თავიანთი მისია დაამთავრეს და ვაშინგტონში გაფრინდნენ ეგრეთ წოდებული „მეთვალყურეები“, რომლებიც ფილიპინებში ჩამოვიდნენ ამერიკის ოფიციალური დელეგაციის შემადგენლობაში. როგორც „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ცნობა ცხადყოფს, თეორმა სახლმა უფლება დაიტოვა ამ „მეთვალყურეთა“ დასკვნების საფუძველზე გამოიტანოს ვერდიქტი არჩევნების „სამართლიანობის“ და ამავე დროს ფილიპინების ბედის შესახებ. პრეზიდენტ რეიგანს ძნელი საგარეოპოლიტიკური გადწყვეტილების მიღება მოუხდება, აღნიშნავს გაზეთი.

მენტორული პოზიცია, რომელსაც ვაშინგტონი დაადგა ფილიპინებში არჩევნების საკითხში, ამ სუვერენული ქვეყნის მოსახლეობის კანონიერ აღშფოთებას იწვევს.

● თურქეთი

გაამართლეს

ანკარა. აქ დამთავრდა თურქეთში დემოკრატიის დასაცავად პეტიციის 56 ავტორის სასამართლო პროცესი, რომელიც წელიწადზე მეტ ხანს მიმდინარეობდა. 1984 წლის მაისში ეს პეტიცია, რომელსაც ხელს აწერდა 1260-ზე მეტი თვალსაჩინო თურქი მწერალი, ჟურნალისტი და კულტურის მოღვაწე, გადასცეს პრეზიდენტსა და თურქეთის დიდ ეროვნულ კრებას. ამის შემდეგ სამხედრო პროკურატურამ თურქი ინტელიგენტების წინააღმდეგ სასამართლო საქმე აღძრა, მაგრამ საზოგადოების ზეგავლენით სასამართლო იძულებული გახდა ისინი გამართლებინა.

ირან-ერაყის კონფლიქტი

ბაღდადი. მთავარი სამხედრო სარდლობა რიგგარეშე კომუნიკეში იუწყება, რომ ერაყის ჯარებმა მოიგერიეს ირანელთა დიდი შეტევა ქალაქ ბახრის აღმოსავლეთით და მდინარე შათ-ელ-არაბის რაიონში. მოწინააღმდეგის შემტევი ძალების ძირითადი ნაწილი მოსპეს და ირანელთა ჯარები ინარჩუნებენ მხოლოდ პატარა იზოლირებულ უბნებს. მათი განთავისუფლების მიზნით ერაყის ჯარები კვლავ უტევენ მოწინააღმდეგს.

სამხედრო წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ერაყის სამხედრო-საჰაერო და საპაერო თავდაცვის ძალებმა ჩამოაგდეს ირანელთა ორი თვითმფრინავი. ირანის შორსმსროელმა არტილერიამ ცეცხლი დაუშინა ჰანაკინის გარეუბნებს.

ნიკოზია. როგორც ირნას საგენტო იუწყება, ირანის ჯარებმა დაიწყეს შეტევა ფრონტის სამხრეთ უბანზე. ბრძოლებით ისინი გადავიდნენ მდინარე შათ-ელ-არაბის დასავლეთ ნაპირზე და მიაყენეს მოწინააღმდეგეს ცოცხალი ძალისა და ტექნიკის ზარალი.

საპაერო თავდაცვის ძალებმა მოიგერიეს ერაყის თვითმფრინავები, რომლებიც ცდილობდნენ შეერილიყვნენ ფრონტის ცენტრალურ ზონაში ქალაქების მეჩრონის, სომარისა და ნეფთშაჰის საჰაერო სივრცეში. ერაყელთა არტილერიამ ცეცხლი დაუშინა ქალაქ აბადანს.

ეძღვნება სკკპ XXVII ყრილობას

10 თებერვალს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგის სამეცნიერო ინფორმაციის ინსტიტუტში გაიხსნა გამოფენა „საზოგადოებრივ მეცნიერებათა განვითარება სსრ კავშირში 1981-1985 წწ.“, რომლის საფუძველს შეადგენს საბჭოთა სწავლულების ფუნდამენტური გამოკვლევები საზოგადოებრივ მეცნიერებათა ყველა მიმართულებით. ეს გამოკვლევები ასაბუთებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის კურსს, რომლის მიზანია დაჩქაროს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება. ექსპოზიციას „კპკ XXVII ყრილობას ეძღვნება“ გამოფენა ახსნიდა მარკსზმ-ლენინიზმის ფილოსოფიისა და ორგანიზაციის ინსტიტუტი 1985 წლის აპრილისა და ოქტომბრის პლენუმების მასალებით, საყრილობო დოკუმენტებით.

სტენდებზე წარმოდგენილია აგრეთვე შრომები, რომლებიც კვლევენ საერთაშორისო ურთიერთობას, საერთაშორისო მუშათა და კომუნისტურ მოძრაობას, ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას.

პროკურორსაც მკაცრად მოეკითხება

ჩვეულებრივ პროკურორებზე წარმოდგენა გვაქვს, როგორც ისეთ ადამიანებზე, რომლებიც ებრძვიან ბოროტმოქმედებს, სამართლიანობა წარმოთქვამენ საბრალდებო სიტყვებს. მაგრამ ეს მათი მოვალეობათა მხოლოდ ნაწილია. პროკურორის ფუნქციები გაცილებით ფართო, მრავალფეროვანია. აი მხოლოდ ერთი მაგალითი.

წულუკიძის აბრეშუმსახვევ ფაბრიკაში ხუთ წელზე მეტია ცის ქვეშ ყანგდება ძვირად ღირებული იმპორტული მოწყობილობა. როგორც გამოირკვა, საწარმოს იგი სულაც არ სჭირდება. იგი გაუგებრობით შეუძენიათ.

ვინ უნდა აღკვეთოს ეს აღმაშფოთებელი უყაირათობა? რა თქმა უნდა, პროკურორმა. სახელმწიფოს სახელით იგი მოვალეა განაცხადოს პროტესტი, გადაჭრით მოსთხოვოს შესაბამის სამინისტროს — ამ შემთხვევაში მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს, დაამყაროს ფაბრიკაში წესრიგი. სამწუხაროდ, წულუკიძის რაიონის პროკურორი, კანონის დარღვევის ფაქტი რომ დაადგინა, დასჯერდა მხოლოდ ფორმალურ მიმოწერას: დღესაც მოწყობილობა დანიშნულებისამებრ არ გადაუციათ.

ეს მაგალითი მოყვანილია საქართველოს სსრ პროკურატურის კოლეგიის გაფართოებულ სხდომაზე რესპუბლიკის პროკურორის ვ. ა. რაზმაძის მოხსენებიდან, რომელიც გასულ პარასკევს თბილისში გაიმართა. კოლეგიის სხდომამ განიხილა გასული წლის მუშაობის შედეგები და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლისა და კანონიერების გაწმტკიცებისათვის პროკურატურის ორგანოების ამოცანები.

ყრილობის მიერ დასახულ რესპუბლიკის სოციალური და ეკონომიკური განვითარების პროგრამაში პროკურატურის ორგანოებს მნიშვნელოვანი როლი გენიჭოთ. ყრილობის გადაწყვეტილებებში ხაზგასმულია, რომ ფართოდ უნდა გამოვიყენოთ სამართლებრივი ბერკეტები ეკონომიკის აღმავლობისათვის, ყველგან და ყველფერში წესრიგის დამყარებისათვის, ორგანიზებულობის გადიდების, დისციპლინის განმტკიცებისათვის.

უკანასკნელ წლებში, აღინიშნა კოლეგიის სხდომაზე, მიღებულია პრაქტიკული ზომები საერთო ზედამხედველობის ეფექტიანობის ამაღლებისათვის, მაგრამ ამომწურავად ისინი ვერ ჩაითვლება. მაგალითად, სახალხო მეურნეობის ბევრ დარგში გავრცელებულია წამატებები. ისინი გამოვლინდა თითქმის ყოველ მეორე სამრეწველო საწარმოში, ხოლო დამამზადებელ და სამშენებლო ორგანიზაციაში, ტრანსპორტზე — გაცილებით მეტი. მეტ წილ შემთხვევებში პროკურორები ადგილებზე გვერდს უვლიან კანონის ამ უხეშ დარღვევებს. შარშან მაგალითად, წალენჯიხის რაიონის პროკურატურის მიერ მოწყობილი ყველა რევიზია უშედეგო აღმოჩნდა. ზუგდიდის რაიონში მათი კოლეგები იფარგლებიან მხოლოდ იმით, რომ თანამდებობის პირებს აფრთხილებენ, დაუშვებელიაო კანონის დარღვევები. დარღვევები კი გრძელდება. გულარხეინად გრძნობენ თავს თვალსაჩვენები ქალაქ მარნეულში, ლაგოდეხისა და ზოგიერთ სხვა რაიონში.

ბოგდანოვკის რაიონის პროკურატურის მუშაკები რომ ღრმად სწვდებოდნენ ეკონომიკას, მაშინ ასე გულგრილი არ იქნებოდნენ კანონისაგან გადახვევებისადმი. აქ არის ერთადერთი სამრეწველო საწარმო — სამკერვალო ფაბრიკა. შარშან პროდუქციის მიუწოდებლობისათვის მან ასი ათასამდე მანეთი ჯარიმა გადაიხადა. პროკურატურა კი დუმდა...

პროკურორები არ აქტიურობენ რუსთავი, ბათუმი, სოხუმსა და ზოგიერთ სხვა ქალაქში, რომელთა სამრეწველო საწარმოები ზოგჯერ უხეშად არღვევენ სახელმწიფო დისციპლინას. მარტო გასული ხუთწლედის მანძილზე რესპუბლიკის საწარმოებს სახელმწიფოსადმი შესახებ 220 მილიონ მანეთზე მეტი ჯარიმა. აი სად უნდა გამოიყენებინა პროკურატურას თავისი ძალაუფლება.

კვლავ სერიოზული პრობლემაა, თქვეს სხდომის მონაწილეებმა, პროდუქციის ხარისხის კანონმდებლობის შესრულება. სავაჭრო ორგანიზაციებში ჩაწოლილია გაუსავლიანი საქონელი. წუნით გამოწვეული დანაკარგები არ მცირდება და ყოველწლიურად რვა მილიონამდე მანეთს აღწევს. პროკურორები კი არ ახორციელებენ უწყებრივობისა და კუთხურობის დაძლევის ღონისძიებებს. მათი შემოწმებები ზერელეა და არსებითად გვაელვას ვერ ახდენენ სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებაზე. კასპის, სამტრედიის, მცხეთის რაიონების, ტყვარჩელის ზოგიერთი საწარმო „დასპეციალებულია“ უხარისხო პროდუქციის გამოშვებაზე, მაგრამ წესრიგის ადგილობრივი გუშაგები განზე დგანან, თითქოს მათი უშუალო მოვალეობა არ იყოს გამოიყენონ სისხლის სამართლის საშუალებები, პასუხი აგებინონ წუნისმკეთებლებს. ამ კატეგორიის მხოლოდ ერთეულ საქმეებს გზავნიან სასამართლოებში.

კოლეგიის სხდომის მონაწილეებმა გულდასმით გააანალიზეს დამნაშავეობასთან ბრძოლის მდგომარეობაც. კერძოდ, აღინიშნა, რომ შარშან შემცირდა ზოგიერთი მძიმე სამართალდარღვევის რიცხვი. ამავე დროს, ოპერატიული ვითარება რესპუბლიკაში კვლავ რთულია. შეშფოთებას იწვევს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა, გამაფრთხილებელ-პროფილაქტიკური მუშაობის არასაკმარისი დონე, დანაშაულთა გახსნის სუსტი ორგანიზაცია. დატაცებებისა და უყაირათობის, მექრთამეობის, წამატებების, უხარისხო პროდუქციის გამოშვების, სხვა სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლა რომ უფრო ეფექტიანი გაგვეხადა, ძირითადი ყურადღება მათი აღკვეთისათვის რომ დაგვეთმო, ეს მნიშვნელოვნად გაზრდიდა რესპუბლიკის ეკონომიკურ პოტენციალს, ბევრ ადამიანს არ დგადადგმევინებდა ნაბიჯს მრუდე გზისაკენ.

კოლეგიის სხდომაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ნ. ენუქიძე.

(საქინფორმი).

მთელი სიცოცხლე ხალხის სამსახურში

საბჭოთა მეცნიერული და ინჟინერული აზროვნების ყველაზე მომამზადებელი წარმატებებია დაკავშირებული აკადემიკოს მ. ვ. კელდიშის სახელთან. გამოჩენილი მეცნიერის, სამგზის სოციალისტური შრომის გმირის, აქტიური საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწის დაბადების 75 წლისთავს მიძღვნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სხდომა, რომელიც 10 თებერვალს გაიმართა მოსკოვში.

მ. ვ. კელდიში იყო არა მარტო გამოჩენილი მკვლევარი, არამედ აგრეთვე მეცნიერების დიდი ორგანიზატორი, თქვა შესავალ სიტყვაში სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა ა. პ. ალექსანდროვმა. მისი პრეზიდენტობის პერიოდში დასაბამი მიეცა ბევრ მომართულებას, რომელებსაც ჩვენი მეცნიერება ყველაზე მოწინავე მიჯნებზე გაჰყავდა, იქმნებოდა ახალი კვლევითი ცენტრები, მტკიცდებოდა მოკავშირე რესპუბლიკების სამეცნიერო ბაზა. სწავლულის ამ ძალისხმევის თავისებური მწვერვალი გახდა კოსმოსური ფრენის თეორია და პრაქტიკა. მისმა ნაშრომებმა ამ დარგში შექმნა საძირკველი, რომელზეც დღესაც ვითარდება სამამულო მეცნიერება და ტექნიკა, მიმდინარეობს კოსმოსური სივრცის ათვისება.

თეორიულ და გამოყენებითს მათემატიკაში მ. ვ. კელდიშის ფუნდამენტურ წვლილს მიუძღვნეს თავიანთი მოხსენება აკადემიკოსმა ნ. ნ. ბოგოლიუბოვმა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფევრ-კორესპონდენტმა ს. ნ. მერგელიანმა. მათ აღნიშნეს, რომ მათემატიკოსი მეცნიერის, ეუშარიტი ანალიტიკოსის უდიდესმა ნიჭმა, ამასთან ინჟინრისა და ექსპერიმენტატორის ღრმა ინტუიციამ მ. ვ. კელდიშს „შესაძლებლობა მისცა თანამედროვე მათემატიკის საშუალებათა მთელი არსენალი დიდი ხელოვნებით გამოეყენებინა ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის უმნიშვნელოვანესი პრაქტიკული პრობლემების ეფექტიანი გადაჭრისათვის.

(საქდესი).

საპატიო წოდებათა მინიჭება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით:

ბიოკიმიის მეცნიერების განვითარებაში დამსახურებისათვის, სამეცნიერო კადრების მომზადებისა და აქტიური საზოგადოებრივი მუშაობისათვის სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მოსკოვის ა. ნ. ბახის სახელობის ბიოქიმიის ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგეს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს მიხეილ ალექსის ძე **ბოკუჩავას** მიენიჭა „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდება.

ბიოკიმიის მეცნიერების განვითარებაში დამსახურებისათვის, სამეცნიერო კადრების მომზადებისა და აქტიური საზოგადოებრივი მუშაობისათვის სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მოსკოვის ა. ნ. ბახის სახელობის ბიოქიმიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს, ბიოქიმიის მეცნიერებათა დოქტორს კონსტანტინე მელიტონის ძე **ჯემუხაძეს** მიენიჭა „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდება.

ბუნება — სიცოცხლის კარი

„ჩვენ ბუნებაში ვართ — იგი ჩვენშია. ცოცხალნიც მისნი ვართ და მკვდარნიც.“

ვაჟა-ფშაველა

12

წყალი ანკარა და თევზმრავალი

ორ ზღვას შუა მდებარე საქართველოს ოდითგანვე აღმოსავლეთის ანუ კასპიის ზღვის აუზის და დასავლეთის ანუ შავი ზღვის აუზის მდინარეები ასაზრდოებდნენ.

მტკვრის, რიონის, ჭოროხის, მათი ურიცხვი შენაკადების თუ სხვა მდინარეთა ნაპირებზე დაირწა თვითმყოფი ქართული კულტურის აკვანი.

მდინარე იყო ჩვენი წინაპრების მეგობარ ქვეყნებში გასასვლელი გზა და ხიდი, ხშირად კი მტრისგან დამცველიც. მდინარე ასმევდა წყალს კაცს, საქონელს, ნადირ-ფრინველს. მდინარე რწყავდა ველ-მინდვრებს, აბრუნებდა წისქვილის დოლაბებს, გასული საუკუნის დამლევიდან მოყოლებული კი ელექტროენერგიას — სინათლეს და სითბოს აწვდიდა და აწვდის ქალაქებსა და სოფლებს, რომელთა უმრავლესობა ისევ და ისევ მდინარეთა თუ სხვა წყალთა ნაპირებთან მდებარეობს.

წყალი სიცოცხლეა. „თვითონ ჩვენმა ენამაც კი შეინარჩინა იმის კვალი, თუ რა ძვირფასად მიიჩნდათ ჩვენებს უწინ წყალი. „წყალობა, შემინყალე, მინყალობე, მინყალე“ — ყველა ამ სიტყვებს დასაბამი აქვ აქვს. ყველა ამ სიტყვებში მარტო ის ისმის, როგ წყალი მომმეც, წყალი მომმეადლეო. წყალის შევედრება, წყალის მოგადლება, ჩვენს ქართველ კაცს უპირველეს საკვედრებლად და სასვეყარად ჰქონდა გამხდარი“. — ამბობს დიდი ილია.

საქართველო მდიდარია მდინარეებით და საერთოდ, წყლის რესურსებით. ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მიხედვით ჩვენში სულ 25075 დიდი, მცირე და უმცირესი მდინარე, 860 ტბა და 688 დიდი ყინვარია. მდინარეთა საერთო სიგრძე 54768 კილომეტრია, სხვანაირად რომ ვთქვათ, ჩვენებურ მდინარეთა სიგრძის ზონარი თვით დედამიწას თითქმის ერთ-ნახევარჯერ შემოსწვდებოდა. ტბებისა და წყალსაცავების საერთო ფართობი 277, ხოლო ყინვართა — 506 კვადრატულ კილომეტრს შეადგენს. და ბოლოს, შავი ზღვა, ჩვენს რესპუბლიკას 880 კილომეტრის სიგრძეზე რომ აკრავს, უძველესი დროიდან მოყოლებული იყო და არის ქვეყნის ეკონომიკური და კულტურული განვითარების მტკიცე საფუძველი.

ამიტომ იყო, რომ საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობამ რესპუბლიკის ეკოლოგიურ ვითარებას გულახდილი პარტიული შეფასება მისცა. სახელდობრ, ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში აღნიშნულია, რომ „სერიოზულ შეშფოთებას იწვევს წყალსატევებისა და ატმოსფერული ჰაერის მდგომარეობა. მთელი რიგი მნიშვნელოვანი მაჩვენებლები, როგორიც არის საბრუნი წყალმომარაგება, გაუწმენდავად გადაგდებული წყლის მოცულობა და სხვები, გაცილებით უარესია, ვიდრე საშუალოდ ჩვენს ქვეყანაში...“.

ბუნების ამ საკვირველი ფენომენის საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობისეული შეფასება, და სხვა, თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესს ნაზიარები გონებით ნაკარნახები დებულებანი ცხადყოფს, რომ წყალს — ყინვარს, ჩანჩქერს, წყაროს, ოკეანეს, ნაკადულს, მდინარეს, ფშანს, არხს, ჭას, ჭაობს, ტბას, წყალსაცავს, შავ თუ კასპიის ზღვას, ყველა მიწისზედა, მიწისქვეშა, ცივ თუ თერმულ წყაროსთვალს მეტი ყურადღება სჭირდება.

უნდა შევქმნათ, დავნერგოთ ეპოქის შესაფერისი საწმენდი ნაგებობანი, სრულვყოთ ტექნოლოგიური პროცესები, წმინდად შევინარჩუნოთ არსებული წყლები, უაირათიანად ვხარჯოთ ხასმელი თუ ტექნიკური წყალი, გავათვეზიანოთ წყალსატევები, დავიცვათ, გავამაგროთ, გავატყეიანოთ და გავამშვენიეროთ სათავეები, ნაპირები და წყალდაცვითი ზონები. და ყოველივე ეს, როგორც ამხანაგმა ჯ. პატიაშვილმა აღნიშნა, „ყველა ორგანოს, ყველა ხელმძღვანელის, საზოგადოების ყველა წევრის უპირველესი ამოცანაა“.

სწორედ ამგვარი განწყობით არის დაწერილი მრავალი წერილი, რომლებიც „კომუნისტს“ მოსდის. გთავაზობთ რამდენიმე მათგანს.

ყვირილას კვლავაც შველა სჭირდება

ყვირილა. „მდინარემან ამან მოიგო სახელი ესე თვისის ჩქარისა და კლდესა ზედა დინებითა, ვინაითგან ხმოვანებს შორსსასმენად... ამ ყვირილასა შინა იპყრობის თევზნი, ყოველნი თვინიერ ზუთხისა... და არს სასმისად გემოიანი და შერგო“, — წერს ვახუშტი ბაგრატიონი მდინარე ყვირილის შესახებ.

მდინარე ყვირილის სიგრძე 140 კილომეტრია. სათავეს რაჭის ქედის აღმოსავლეთ ნაწილში, ერწოს ტბის ქვაბულში იღებს (1711 მ). ერთვის მდინარე რიონს მარცხენა მხრიდან სოფელ ვარციხესთან ზღვიდან 139 კილომეტრზე (83 მ). წყალშემკრები აუზის ფართობი 3630 კვადრატული კილომეტრია. საშუალო წლიური ხარჯი შესართავთან — 86,0 კუბური მეტრი წამში. ყოველწლიურად მას რიონში 2,6 კუბური კილომეტრი წყალი ჩაატარ. წყალდიდობა გაზაფხულზე და შემოდგომის სეზონში აქვს, წყალმცირობა ზამთარსა და ზაფხულში.

მდინარე ყვირილის აუზში 2906 მცირე და უმცირესი მდინარე ითვლება. მათი საერთო სიგრძე 5254 კილომეტრია და ჯავის, საჩხერის, ორჯონიკიძის, ზესტაფონის, თერჯოლის რაიონების და ქალაქ ჭიათურის ტერიტორიას მოიცავს. მდინარე შორაპნიდან ვარციხემდე ისტორიულად სანაოსნო იყო.

ვინც კი ერთხელ მაინც იმოგზაურებს ზემო იმერეთში, მოხიბლული დარჩება ყვირილის თვალწარმტაცი ხეობით, სადაც გაშენდა თანამედროვე ინდუსტრიული ქალაქი ჭიათურა. აქ მოპოვებულ მანგანუმის მადანს ბადალი არ მოეპოვება მეტალურგიულ და ქიმიურ მრეწველობაში.

წყარო საკვირველი

ფალაკის რაიონის სოფელ ოლიანგში ერთი არაჩვეულებრივი წყაროა: სოფლის ცენტრში, ძველი ეკლესიის ეულ-კანური ბალავრიდან მოჩქეფს ვოკლუზი — დიდდებულიანი ნაკადი და ოთხკუთხა, კეთილად ნაგები ქვის აუზს ავსებს.

ოლიანგის წყაროს მუდმივი ბინადარი ჰყავს — კალმახი. დიახ, მისი ანკარა, ციმციმა წყალი დიდ-პატარა კალმახით არის სავსე. თევზები თამაშობენ, ადამიანებს არ უფრთხილ, თავისი ჯიშისათვის უჩვეულო სიხანტით დაცურავენ. შეუძლიათ დატოვონ აუზი და გამდინარე ნაკადულით მდინარე ქციაში გავიდნენ, მაგრამ არ ტოვებენ აუზს.

დიდი ხანია ასეა? ამ კითხვას ადგილობრივი მკვიდრნი და მეცნიერებიც ასე უპასუხებენ — ვახუშტი ბაგრატიონის რუკის თანახმად XVIII საუკუნეში ამ ადგილას ქართული სოფელი ყოფილა — მაჩვთა, რომელიც ადგილობრივ თავადს ეკუთვნოდა.

გამოხდა ხანი. 1828 წლიდან მოყოლებული სამცხე-ჯავახეთი, ერუშეთი და პალაკაციო რუსეთ-საქართველოს ჯარმა ოსმალ დამპყრობთაგან გაათავისუფლა და გრაფმა პასკევიჩმა იმ ადგილებში ტრაპეზონისა თუ ყარსის მხარეში აყრილი სომხები, ბერძნები და ებრაელები ჩამოასახლა. ბერძნებმა სოფელს ოლიანგი უწოდეს და როგორც სოფელს, ისე კალმახიან წყაროს დღესაც თვალსაჩინოვით უფრთხილდებიან: მკაცრად იცავენ თევზებს საშიშროებისაგან და საკვებით ამარაგებენ. წყაროს თავისი მეთვალყურე-მომვლელი ჰყავს.

და ბოლოს, ოლიანგის წყაროს სახელმწიფომ ბუნების ძეგლად გამოაცხადა. იგი შეტანილია საქართველოს სსრ წითელ წიგნში (გ. 236).

გ. მანია.

სურათზე: ფალკის რაიონის სოფელი ოლიანგი. კალმახიანი ვოკლუზი, რომელსაც მთელი სოფელი უფრთხილდება.

ავტორის ფოტო.

აგერ, აქვე კვდება მდინარე...

დალოცვილმა ჩვენმა წინაპრებმა შესანიშნავი სახელები შეარქვეს ადგილებს, ნაფუძართ, სანახებს, სადაც ფეხი დაუდგამთ და ულვაწიათ — „სავანეო“, „მთაწმინდაო“, „ეკვიაცოველიო“, „ერთაწმინდაო“, „საირმეო“, „ბედიანაჩენიო“, „კეთილარიო“, „ახალშენიო“ და მრავალი სხვა.

მიმობნეულან საქართველოში ეს სავანეები, მთაწმინდები, ახალშენები და ყოველი მათგანი ერის ისტორიის, განწყობილების, შრომისა თუ შენების უკვდავი მოწმეა. თვით დედაქალაქშიც მსგავსი სახელები და ადგილები მრავალია. უკვე დედაქალაქის განუყოფელ ნაწილად ცხეულან ისინი — ვაშლოვანი, ვარკეთილი, ვარდისუბანი და ვაზისუბანი...

ყოველ მათგანს თავ-თავისი განუმეორებელი ელფერი ჰქონდა ოდესღაც, თავისი ვარდითა და ვაზით, კეთილი ნაყოფითა და დოვლათით მოჰქონდა თავი. დღეს კი ზოგს მხოლოდ სახელიღა შემორჩენია. არადა, მიუხედავად ახალი ცხოვრების მძლავრი მაჯისცემისა, იქნებ უპრიანი იყოს, თუნდაც ნაწილობრივ მაინც, ამ უბნებს კვლავ შევუნარჩუნოთ თავიანთი შინაარსი, სახე, რომელიც სახელსაც გაამართლებდა



ალმავლობამ და გაღარიბებული მადნების დამუშავების აუცილებლობამ დღის წესრიგში დააყენა ახალი, უფრო სრულყოფილი, მძლავრი მწარმოებლობის მამდიდრებელი ფაბრიკების მშენებლობის საკითხი. ამჟამად საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმს“ აქვს კეთილმოწყობილი და უახლესი ტექნიკით აღჭურვილი მამდიდრებელი ფაბრიკები. მათგან დამაგვიანებელია ცენტრალური (დამყვანი და საფლოტაციო) მამდიდრებელი ფაბრიკების კომპლექსი, სადაც ერთი საერთო შლამსადენით თავს იყრის ყველა ფაბრიკიდან გამომდინარე შლამები. მისი აგებით დამატებითი პროდუქციის მიღებასთან ერთად თავიდან იქნა აცილებული ქალაქის ტერიტორიაზე მდინარის ცხრაკილომეტრიანი კალაპოტის მანგანუმის შლამებით გაუპუჭყიანება. მაგრამ ცენტრალური მამდიდრებელი ფაბრიკების ნარჩენებში მანგანუმის შემცველობა მაინც მნიშვნელოვანია. ამგვარ საწარმოო ნარჩენებში ამოგანგლული მდინარე ყვირილა, რომელსაც თან მოჰქონდა წყალში გახსნილი ძვირფასი მადნის ნაწილაკები, აუპუჭყიანებდა დასავლეთ საქართველოს შავენებას — მდინარე რიონს და, ბოლოს, შავ ზღვას. სწორედ ამიტომ შემუშავდა ღონისძიებანი შლამსაცავის მშენებლობის პროექტი. ჭიათურიდან 278 მეტრ სიმაღლეზე განლაგებული შლამსაცავის ტევადობა 29 მილიონ კუბურ მეტრამდე მოცულობის სიდიდისაა. მასში ცენტრალური საფლოტაციო ფაბრიკიდან 20 წლის განმავლობაში გადაიტუმბებოდა მანგანუმის შემცველი შლამები.

მშენებლობა თოთხმეტი წლის წინათ დაიწყო რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს მერვე ტრესტის კოლექტივმა. იგი თავიდანვე ნელი ტემპით წარმართა. ამას მშენებლები „ობიექტური“ მიზეზით ხსნიდნენ. აუცილებელი გახდა სპეციალიზებული ორგანიზაციების „ჰიდრომექანიზაციისა“ და „ჰიდროენერგომშენის“ გამოცდილი კოლექტივების ჩაბმა მშენებლობაში. კორეტირება გაუკეთდა უკვე მოძველებულ პროექტსაც. ეს აუცილებელი იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 16 იანვრის დადგენილებითაც „ზავი და აზოვის ზღვების გაუპუჭყიანების თავიდან აცილების ღონისძიებათა შესახებ“. საპროექტო ინსტიტუტებს დაევალთ დაემუშავებინათ საწმენდი ნაგებობის და გაწმენდილი ნახმარი წყლების მამდიდრებელი ფაბრიკებისთვის ხელმეორედ მიწოდების პროექტი. ამრიგად, შედგა შლამსაცავი მეუნარეობის პირველი რიგის ასამოქმედებელი კომპლექსის პროექტი, რომლის შესაბამისად ამუშავდა იგი 1980 წლის დეკემბერში. ეს დიდი სიხარული იყო არა მარტო აქაურების, არამედ მთელი საქართველოს მშრომელებისათვის, მაგრამ ეს სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა.

სწორედ აქ იჩინა თავი საპროექტო ორგანიზაციების მიერ დაშვებულმა შეცდომებმა. არ შეიძლება ამ ფაქტს ბაზი არ გავუსვათ იმის გამო, რომ მსგავსი რამ ჩვენში იშვიათი არ არის. დაუფიქრებლობით და აჩქარებით წყალში იყრება დიდძალი სახალხო თანხები. დამნაშავენი კი დაუსჯელნი რჩებიან და თავს არხეინად გრძნობენ.

ნახშირშემწოვმა ტუმბოებმა, რაც ტათვალსწინებული იყო პროექტით, მხოლოდ 36 საათს იმუშავა. მანგანუმთან ერთად შეწოვილი ქვაკუის სილების მსხვილი ფრაქციები ინტენსიურად ცვეთდა შემწოვი ხაზის როტორისა და კორპუსის დეტალებს. საჭირო გახდა ამ ტუმბოების ნაცვლად მუშაობის უნარის მქონე ნახშირშემწოვი ტუმბოების შექმნა. ჭიათურელ მშენებელთა პარტნიორებმა — იასონოვკისის მანქანათსაშენებელი ქარხნის წარმომადგენლებმა, რომლებიც ნახშირშემწოვ ტუმბოებს ამზადებდნენ, კატეგორიული უარი თქვეს მონაწილეობა მიეღოთ დიდი ცვეთაგამძლე ტუმბოების შექმნის ღონისძიებათა შემუშავებაში. ეს პრობლემა ერთობლივად გადაწყვიტეს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ელითონის და სამთო საქმისა და უკრაინის „წყალკანალპროექტის“ სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტებმა, რაც პრაქტიკულად განხორციელდა.

„ჭიათურმანგანუმის“ გაერთიანებისა და „ჭიათურმანგანმშენის“ ტრესტის სპეციალისტებმა და მუშებმა ენერგია არ დაზოგეს იმისათვის, რომ კეთილსინდისიერად შეესრულებინათ დავალება. მათ თავდადებით იშრომეს და ობიექტის მიღებიდან წელიწადნახევრის შემდეგ, 1982 წლის პირველ ივლისს ფაქტობრივად საექსპლოატაციოდ გადასცეს შლამსაცავის პირველი რიგი.

ჭიათურელები ამაყობენ თავიანთი ნამოღვაწრით. ეს უნიკალური ნაგებობა ერთადერთია ქვეყანაში და თუ მის სიკეთე ერთბაშად არ იგრძნობა, ეს სრულებითაც არ ამცირებს მის მნიშვნელობას. შლამსაცავის გრანდიოზულობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მშენებლობას 55 მილიონ მანეთზე მეტი მოხმარდება.

ფრთა შეეხსა მეცნიერთა და პრაქტიკოსთა ჩანაფიქრს. შლამსაცავიდან გაწმენდილი, ანკარა წყალი გადმოდის, რომლის ერთ ლიტრში შეწონილი ნაწილაკები 25-50 მილიგრამს არ აღემატება. წინათ კი ცენტრალური საფლოტაციო ფაბრიკიდან გადმონადენ ამდენსავე წყალში შეწონილი ნაწილაკები 32 ათასს, ხოლო ყვირილაში განზავების შემდეგ 20 ათას მილიგრამს სჭარბობდა.

სამწუხაროდ, მდინარე ყვირილის გაწმენდის პრობლემა ბოლომდე გადაწყვეტილი არ არის. ხშირად იგი ისევ შავი მოედინება, თუმცა მცირე შეწონილი ნაწილაკებით. საქმე ისევ საპროექტო და დამკვეთ ორგანიზაციებს ეხებათ, რომლებმაც არ გაითვალისწინეს მანგანუმის პირველადს მამდიდრებელ ფაბრიკებთან სარეზერვო ავზების აშენება, რომლებშიც ავარიების და ელექტროდენის გამორთვის შემთხვევაში გადმონადენი შლამები მოთავსდებოდა, არ გაითვალისწინეს აგრეთვე მაღაროთსამმართველოებიდან მანგანუმით გაჭუჭყიანებული დელეების მექანიკური გაწმენდა. არადა, ეს მადანი ცოტა კმარა მდინარის გასაუჭუჭყიანებლად.

ვიღრე გვიან არ არის და შლამსაცავის მშენებლობა მთლიანად არ დამთავრებულა, საპროექტო ორგანიზაციამ უნდა გამოასწოროს დაშვებული შეცდომა პროექტის იმ ნაწილში, სადაც პირველადი მამდიდრებელი ფაბრიკების შებრუნებულ წყალმომარაგებას შლამსაცავიდან მიღებული, გაწმენდილი წყლით ფიქრობენ, დიდძალი სახსრების ხარჯვას ითვალისწინებენ და მართვის სისტემას ართულებენ, მაშინ, როცა ფაბრიკები მდინარის პირას მდებარეობენ და იქვე იღებენ წყალს.

მდინარე ყვირილის სისუფთავისათვის მეტი ბასუხისმგებლობა უნდა იგრძნონ საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმისადმი“ დაქვემდებარებული ორგანიზაციების — მაღაროთსამმართველოების, მამდიდრებელი ფაბრიკების, ნარჩენების მეურნეობის, შლამების ჰიდროტრანსპორტის ხელმძღვანელებმა. ამ საქმეში სათანადო ღონისძიებანი უნდა განახორციელონ აგრეთვე დარკვეთის საშენ მასალათა საწარმოო გაერთიანებამ, ხორცისა და რძის კომბინატმა, ქალაქის სამშენებლო და სატრანსპორტო საწარმოებმა.

ერთი სიტყვით, ყვირილის გაწმენდა დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა და მას ბოლომდე მიყვანა უნდა!

ბ. აბესაძე,
ჭიათურის ბუნების დაცვის ზონალური ინსპექციის უფროსი.

ფიზიოლოგთა თანამშრომლობა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ს. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერებმა დაიწყეს ინდოელ კოლეგებთან ერთობლივი კვლევა. თანამშრომლობის პროგრამა ითვალისწინებს ადამიანისა და ცხოველის უმაღლესი ნერვული მოქმედების პათოლოგიისა და თერაპიის ზოგიერთი ასპექტის, აგრეთვე კვებითი მოტივაციის რეგულაციის პრობლემების შესწავლას.

სრულიად ინდოეთის მედიცინის მეცნიერებათა ცენტრის ნეიროფიზიოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერებთან ქართველ ფიზიოლოგთა კონტაქტები დამყარდა შარშან ინდოეთში ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის მ. ხანანაშვილის ყოფნის დროს. ინდოეთის ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის თხოვნით მან ლექციები წაიკითხა ქვეყნის მთელ რიგ ქალაქებში. იმავე დროს საბჭოთა ფიზიოლოგი, მსოფლიოს უდიდეს სამეცნიერო საზოგადოებათა წევრი, ტვინის შემსწავლელი საერთაშორისო ორგანიზაციის ვიცეპრეზიდენტი აირჩიეს ინდოეთის იოგის აკადემიის ნამდვილ წევრად.

— თემები, რომლებსაც ინდოელ კოლეგებთან ერთად ვამუშავებთ, ფრიად აქტუალურია, — თქვა საქონფორმის კორესპონდენტთან საუბარში აკადემიკოსმა ხანანაშვილმა. — მრეწველობის განვითარება, ინფორმაციის ნაკადის ზრდა მნიშვნელოვნად ტვირთავს ადამიანის ტვინს. ამას შეგვეძლია დავუმატოთ მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის თავსიბეგურება — ჰიპოდინამია, გონებრივი შრომით დასაკმეტებული ადამიანების არასასურველი თანამგზავრი. ჩვენი ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ შეფუშავებული „ინფორმაციული პათოლოგიის“ მკურნალობისა და პროფილაქტიკის ახალი მეთოდები ხელს შეუწყობს ინდოელი კოლეგების წინაშე დასახული მთელი რიგი პრობლემების გადაწყვეტას. თავის მხრივ ინდოელ მეცნიერთა ნამუშევრების შედეგები ჩვენთვის უაღრესად საინტერესოა.

— დღეს, როცა კონკრეტულ ერთობლივ კვლევას შევუდგები, — თქვა შემდეგ აკადემიკოსმა ხანანაშვილმა, — მინდა აღვნიშნო, რომ ამ თანამშრომლობის ინიციატორი ინდირა განდი იყო. მახსენდება შეხვედრა ინდოელი ხალხის დიდ შვილთან 1983 წელს ინდოეთში ყოფნის დროს. საუბარში ინდირა განდიმ ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირ-ინდოეთის თანამშრომლობას მეცნიერების, კერძოდ, ფიზიოლოგიის დარგში.

დღევანდელ მსოფლიოში, სადაც ყველაფერი ურთიერთდაკავშირებულია, ძნელია გადაჭარბებით შეაფასოთ მეცნიერთა საერთაშორისო თანამშრომლობის მნიშვნელობა, — თქვა დასასრულ აკადემიკოსმა ხანანაშვილმა. — იგი ამდიდრებს მეცნიერებას, აფართოებს მის ჰორიზონტებს. ჩვენი ინსტიტუტი აქტიურად მუშაობს გერმანელ, პოლონელ, ჩეხოსლოვაკიელ კოლეგებთან ერთად. მივესალმებით იმას, რომ ისახება ქართველ ფიზიოლოგთა კონტაქტები იაპონიისა და ამერიკის შეერთებული შტატების მეცნიერებთან. დარწმუნებული ვარ, რომ ჭენვის უმაღლესი დონის შეხვედრამ საამისოდ კარგი პერსპექტივები დასახა.

მორიგი ტირაჟი

1986 წლის 15 თებერვალს ჯამბულში გაიმართება 1982 წლის შინაგანი მომგებიანი სახელმწიფო სესხის მოგებათა 33-ე ტირაჟი.

ტირაჟში გათამაშდება 10000, 5000, 2500, 1000, 500, 250 და 100 მანეთი მოგებანი.

ამავე დროს გაიმართება 1966 წლის სამპროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სახელმწიფო სესხის 157-ე მოგებათა ტირაჟი.

აღნიშნულ სესხთა მორიგი ტირაჟები 1986 წლის 30 მარტს გაიმართება ლენინგრადში.

(საკდესი).

ყაბალი

საბურნირო ორბიტა

ველოსპორტი. მოსკოვში, კრილატსკოეს ტრეკზე დამთავრებულ ზამთრის საკავშირო ჩემპიონატზე სპრინტერთა შორის პირველი ადგილს დაეუფლა თბილისელი მრბოლი **ოთარ ჭეჟელაშვილი.** აღსანიშნავია ისიც, რომ ზამთრის პირველობათა ისტორიაში პირველად ოქროს მედალი სპორტსმენს მიეკუთვნა ფინალური რბოლის გათამაშებად. ეს მოხდა იმიტომ, რომ მეორე ფინალისტი, ფრუნზეს ს. ოგანტოვი ტრავმის გამო სტარტზე ვერ გამოვიდა. ბრინჯაოს მედალი წილად ხვდა როსტოველ ი. შჩელინკის.

ჭადრაკი. ტალინში დასასრულს მიუახლოვდა საკავშირო ჩემპიონატი ახალგაზრდა მოჭადრაკეებს შორის. 13 ტურის შემდეგ 8-8 ქულა და თითო გადადებული პარტია აქვთ ივანჩუკს, ოლს და პიგუსოვს. მომდევნო ადგილებზე არიან იაკოვიჩი — 7,5 ქულა, თბილისელ **აზმაიფარაშვილს** და დრეიევს 7-7 ქულა და თითო გადადებული პარტია აქვთ.

სათბილამუარო ორბიდი. ბაკურიანში ამ სახეობის სპორტში გამართულ საკავშირო თასის გათამაშებაზე გაიმარჯვა პერმელმა ს. ჩერვიაკოვმა. იგი უძლიერესი იყო 70-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში, ხოლო 15 კილომეტრზე რბოლაში მან მეორე-მესამე ადგილები გაინაწილა ნიენტაგილელ ს. ბონდართან ერთად. ჩერვიაკოვმა 431,5 ქულა დააროვა. ორჯიდში მეორე ადგილი დასაკუთრა ტალინელმა ა. ლეონტიევმა — 422,85 ქულა, მესამე — კიეველმა ა. პროსკურინინმა — 420,75.

ფალაურთი. ჩვენმა მკითხველებმა უკვე იცით, რომ მოსკოვსა და ალმა-ათაში დამთავრდა საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრე. მომდევნო ეტაპის წინ გათამაშების ცხრილში ^ ჩანდნენ ასეთი თანამიმდევრობით განლაგდნენ: მოსკოვის „დინამო“ — 21 ქულა, ალმა-ათის „დინამო“ — 16, მოსკოვის უნივერსიტეტი — 15, სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტკლუბი — 14, მოსკოვის „მოსკვიჩი“ — 12, ლვოვის „დინამო“ — 11, ლენინგრადის „ბალტიკა“ — 10, კიევის „დინამო“ — 10, კასპიის წყალლეროშოვანი ფლოტილის გუნდი (ბაქო)—9, თბილისის დინამო“ — 7, ხარკოვის „ლოკომოტივი“ — 5, მოსკოვის „ტორპედო“ — 2 ქულა.

ჩოგბურთი. მოსკოვის ღია ჩემპიონატზე წარმატებით იასპარეზეს **თბილისელმა ვლადიმერ გაბრიჩიძემ და უფროსელმა ოიხუნ კროჩკომ.** მათ ვაკოს წყვილების ფინალში სძლიეს კიეველ ალექსანდრე ^ დოლგოპოლოვსა და მოსკოველ ანდრეი ოლოვსკის — 6:7, 6:4, 6:4.

რედაქტორი
ბ. ბედინეიშვილი.

საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტი (საქსახაგრომრეწვი) აუწყებს ყველა დაინტერესებულ საწარმოს, ორგანიზაციას და დაწესებულებას, რომ ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილების შესაბამისად გაუქმდა საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტი, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრო, საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო, საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტი, საქართველოს სსრ ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტი, რესპუბლიკური გაერთიანება „საქცხოველმრეწვი“, საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს რესპუბლიკური აგრარულ-სამრეწველო-სავაჭრო გაერთიანება, საქართველოს სამრეწველო გაერთიანება „საქკოსმეტიკრეწვი“, „საქსახკომსოფლწარმოების“ რესპუბლიკური სამეურნეოთაშორისო გაერთიანება „საქსოფლმრეწვი“, კაპიტალური მშენებლობის საეურნეოთაშორისო მთავარი სამმართველო.

ყოველგვარი პრეტენზიები მიიღება გაუქმებული სამინისტროებისა და უწყებების სალიკვიდაციო კომისიების მიერ 1986 წლის 20 მარტამდე.

საქსახაგრომრეწვი

ბოლქოვი

12 თებერვალი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.40 — გამოგვეხმაურეთ, მეგუკენო! 10.10 — მოგზაურთა კლუბი. 11.10 — მხატვრული ფილმი „ამქვეყნიური სიყვარული“. 12.40 და 15.30 — ახალი ამბები. 15.45 — დოკუმენტური ტელეფილმები. 16.35 — კონცერტი. 17.00 — გვიამბობენ ჩვენი კორესპონდენტები. 17.30 — ახალი ამბები. 17.35 — „მეცოლეგიური ღღიური“. 17.55 — ნარკვევი სკკპ XXVII ყრილობის დელეგატზე ნ. ი. ტრავკინზე. 18.10 — პაიდი—სიმფონია № 19 ფა მინორი. 18.30 — „მეცნიერება და ცხოვრება“. 19.00 — საკონცერტო დარბაზში მოსწავლეები არიან. 19.45 — ღღეს მსოფლიოში. 20.00 — მულტფილმები. 20.15 — კონცერტი. 20.40 — ყოველთვიური დამატება გადაცემისათვის „მსოფლიო და ახალგაზრდობა“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — მხატვრული ფილმი „ბედი“. პირველი სერია. 0.15 — ღღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამა. 9.00 — ღილის ვარჯიში. 9.15 და 21.20 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმები. 12.05 — ტელეეურნალი მშენებლებისათვის. „მარტივი — რთული ჭეშმარიტებანი“. 14.55 — მხატვრული ფილმი „დაიწყე საკუთარი თავით“. მეორე სერია. 16.00 და 19.00 — ახალი ამბები. 19.15 — თანამეგობრობა. ტელეეურნალი. 19.45 — კონცერტი. 20.00 — სოფლის საათი. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!“. 21.40 — მღერის ი. სურეანუ. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — ძველებური რუსული მუსიკა. 23.05 — ახალი ამბები.

ოჯიხური

12 თებერვალი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — მოამბე. 10.10 — მოგზაურთა კლუბი. 11.10 — მოსწავლეთათვის. „წყაროსთვალი“ (განმეორებით). 11.45 — მხატვრული ფილმი „გაუფრთხილდით მამაკაცებს“. 13.05 — მათემატიკის ტელეკურსი. 13.35 — საინფორმაციო გამოშვება. 13.50 — კონცერტი „თქვენი თხოვნით“ (განმეორებით). 14.50 — მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „მოვდევლმა შეინახა, ეშმაკმა წაიღო“. 15.30 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ქართული კერამიკა“. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — შევისწავლოთ გერმანული ენა. 16.45 — თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.55 — საბჭოური ცხოვრების წესი. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მოლჩანივა მოლჩანივის ქუჩიდან“. 17.25 — განცხადებები. 17.30 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 18.00 — სკკპ XXVII ყრილობის შესახვედრად. „ყრილობის დელეგატები“. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მე ვარ ლუბა ნიკარაძე“. 18.30—რუსეთის 1905-07 წლების რევოლუციის 80 წლისთავისათვის. „რევოლუციით ნაწერთობი სოფელი“. 18.45 — „ცერადენას ეკრანი“. 19.00 — უფროსკლასელთათვის. ჩვენი სადისკუსიო კლუბი. 19.45 — ღღეს მსოფლიოში (მ.). 20.00 — მოამბე. 20.30 — პირველად ჩვენს ეკრანზე. მხატვრული ფილმი „34-ე ჩქარი“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — ახალგაზრდობისათვის. „ცხოვრება კაცისა“. (ა. წერეთელი).

მეორე პროგრამა. 16.35 — მხატვრული ფილმი „სამუდამო სიყვარული“. პირველი სერია. 17.40 — განცხადებები. 17.45 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „კოლექტივთან ერთად“. 18.10 — მოსწავლეთათვის. მათემატიკა.

თეატრი

12 თებერვალი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — **გედის ტბა** (მე-4 აბონ. მე-6 წარმ.); რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **კონცერტი ორი ვიოლინოსათვის ალმოსავლური საკრავების თანხლებით; მარჯანიშვილის** სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **პროვინციული ამბავი;** აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — **ბაგმანი ცაში;** მინიატიურების სახელმწიფო — **ფუტი და სიყვარული;** მეტეხის — **განდეგილი;** მოზარდ მაყურებელთა ქართული — **გამოიდა** (აბონ. № 69, 7 ს.); ფილარმონია — **მოსკოვის სახელმწიფო მინიატურების თეატრი,** (დიდ საკონცერტო დარბაზში).

ჩვენს ეკრანებზე

17.30 — მოამბე. 18.00 — „ეროვნული ენციკლოპედია“. 18.30 — „ეროვნული ენციკლოპედია“. 19.00 — „ეროვნული ენციკლოპედია“. 19.45 — „ეროვნული ენციკლოპედია“. 20.00 — „ეროვნული ენციკლოპედია“. 21.00 — „ეროვნული ენციკლოპედია“. 21.40 — „ეროვნული ენციკლოპედია“. 22.00 — „ეროვნული ენციკლოპედია“. 22.40 — „ეროვნული ენციკლოპედია“. 23.05 — „ეროვნული ენციკლოპედია“.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 07256 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის ზრომის ოთხელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსე